



# მენორა

გამოდის  
1993 წლის  
მარტიდან

დამოუკიდებელი ებრაული გაზეთი საქართველოში

„MENORA“ INDEPENDENT JEWISH NEWSPAPER IN GEORGIA

## המנורה

„МЕНОРА“ НЕЗАВИСИМАЯ ЕВРЕЙСКАЯ ГАЗЕТА В ГРУЗИИ

ნომერი  
(საშვანი)  
№12 (472)  
(5781)  
2020

“הנורה”

עיתון יהודי

בגוריה

### იმამთა მსოფლიო საბჭომ მიიღო ანტისემიტიზმის განსაზღვრება

იმამთა მსოფლიო საბჭომ (GIC), რომელიც აერთიანებს მთელი მსოფლიოს 1000 მუსლიმური კულტის მსახურს, მიიღო ანტისემიტიზმის ის განსაზღვრება, რომელიც შეიმუშავა ჰოლოკოსტის მსხვერპლთა საერთაშორისო ალიანსმა (IHRA). ეს გადაწყვეტილება მიღებული იქნა ამერიკის შეერთებული შტატების ანტისემიტიზმთან ბრძოლის სპეციალური წარმომადგენლის ელანა კარრუსა და იმ საერთაშორისო მოღვაწეთა თხოვნით, რომლებიც შემოთავაზებულნი არიან ანტისემიტიზმის ზრდით.

ანტისემიტიზმის IHRA-ს ეს განსაზღვრება მიღების დღიდანვე სავალდებულო შესასრულებელი ხდება იმამთა მსოფლიო საბჭოს ყოველი წევრისათვის. ეს კი იმას ნიშნავს, რომ საბჭოსთან აფილირებულმა მეჩეთებმა, მუსლიმურმა ცენტრებმა, ინსტიტუტებმა და ორგანიზაციებმა იგი უნდა მიიღონ.

ევრ-აზიის ებრაელთა კონგრესი მიესალმება იმამთა მსოფლიო საბჭოს ამ ნაბიჯს. კონგრესის გენერალურმა დირექტორმა ხაიმ ბენ იაკობმა განაცხადა:

— ამასწინათ აღბანეთმა, რომლის მოსახლეობის მეტი ნილი მორწმუნე მუსლიმია, მიიღო და გაიზიარა ანტისემიტიზმის IHRA-ს განსაზღვრება, ახლა კი ასეთი ნაბიჯი გადადგა იმამთა მსოფლიო საბჭომ. ეს გახლავთ ახალი ერა კონფესიათა ურთიერთობის საქმეში და სრულიად ახალი სტრუქტურის ებრაელთა და მუსლიმთა ურთიერთობაში. ეაეკ-ის ლიდერები დიდად მადლობელი გახლავართ ელანა კარრუსი. მისი წარმატება ცივილური მსოფლიოს წარმატებაა.



### აარონ ფრენკელი ბალკანეთის ფორუმზე

ევრ-აზიის ებრაელთა კონგრესის გამგეობის თავმჯდომარემ აარონ ფრენკელმა მონაწილეობა მიიღო ანტისემიტიზმის წინააღმდეგ მიმართულ ბალკანეთის ფორუმში. ბ-ნი აარონ ფრენკელი მიესალმა ბალკანეთის მთავრობასა და პარლამენტს იმის გამო, რომ მათ გაიზიარეს და მიიღეს ანტისემიტიზმის IHRA-ს განსაზღვრება.

— მინდა ევრ-აზიის ებრაელთა კონგრესის სახელით გითხრათ: თქვენ სწორად მოიქცით, თქვენ მიიღეთ უაღრესად მორალური გადაწყვეტილება, როგორც ყოველთვის, კაცობრიობისა და სამართლიანობის სახელით, თქვენ გადადგით კეთილშობილური ნაბიჯი და ამის გამო უდიდეს მადლობას მოგახსენებთ.

ეაეკ-ის თავმჯდომარემ აარონ ფრენკელმა ფორუმის მონაწილეებს მოახსენა, რომ ანტისემიტიზმთან ბრძოლა ეაეკ-ის პრიორიტეტული ამოცანაა. ფორუმს აუწყა, რომ კონგრესი თვალს ადევნებს, სწავლობს ანტისემიტურ სიტუაციებს, ეხმარება ანტისემიტიზმით ვნებულთ, ამასთან აქტიურად იღწვის საზოგადოებრივი დიპლომატიის სარბიელზე.



### ისრაელის საელჩო გვატყობინებს:

ისრაელის საელჩო და MASHAV-მა (ისრაელის საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარების სააგენტო) საქართველოს დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრს (NCDC)



დაახლოებით ნახევარი ტონის აღჭურვილობა გადასცა. მათ შორისა 6000 პირბადე, 300 წყალგაუმტარი კომბინიზონი, 311 სახის დამცავი ფარი, 250 95 პირბადე და 240 წყალგაუმტარი სამოსი.

აღნიშნული ფესტი არის ისრაელ-საქართველოს ორმხრივი თანამშრომლობის გაგრძელება Covid-19-ის პანდემიასთან ბრძოლაში, იმ მრავალ ჰუმანიტარულ მხარდაჭერასთან და ერთობლივ ლექციებთან და სემინარებთან ერთად, რომლებიც აქამდე განხორციელდა.

1992 წლიდან MASHAV-ის კურსებისა და ტრენინგების მონაწილე 1500-ზე მეტი პირი გახდა საქართველოდან და მათი დიდი ნაწილი საჯარო სექტორში, მათ შორის ჯანდაცვასა და დაავადებათა პრევენციის სფეროში მოღვაწეობენ.

ისრაელის საელჩო და MASHAV-ი მოხარულია, რომ გვერდში უდგას ჩვენს მეგობრებსა და პარტნიორებს ამ კრიტიკულ ვითარებაში და მივესალმებით იმ მისაბამ და მაღალ პროფესიონალიზმს, რომელსაც დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი და მისი ხელმძღვანელი, ბატონი ამირან გამყრელიძე ამჟღავნებენ.

### „საქმემან შენმან გამოგაჩინოს“

ძნელია დაწერო საგაზეთო წერილი — არ იცი, რომელი მკითხველი როგორ წაიკითხავს, როგორ აღიქვამს. მე კი ვიცი, რასაც ვწერ — ვწერ იმას, რასაც გული მკარნახობს და თვალეები ხედავს; ვწერ იმისათვის, რომ მომავალმა თაობამ წაიკითხოს, იცოდეს, თუ როგორი წინამძღოლები ჰყოლიათ წინაპრებს — ადამიანები, რომლებიც ფიქრობდნენ, აკეთებდნენ საშვილიშვილო საქმეს. ვერ ვიტყვი, ამ წერილის წაკითხვის შემდეგ, ვინ რას იფიქრებს და რა აზრები მოუვა თავში, ის კი ვიცი, რომ მინდა, ჩვენი საჯამათო ცხოვრების რეალობა დავანახო მკითხველს, ისიც მსურს, ისტორიას შემოვუწინო, თუ ვინ რისი გამკეთებელი არის და რით შეიძლება დამასოვროს თავი საზოგადოებრიობას.

საუბარი მაქვს თბილისის დიდი ბეთ ქნესეთის, ე.წ. „ახალციხელების ლოცვის“ ამჟამინდელ წინამძღოლზე ბატონ მერაბ ჩანჩალაშვილზე. საამისოდ წარმოგიდგინებ ჩვენი ჯამათის ცხოვრებისათვის უაღრესად მნიშვნელოვან მისი უშუალო თაოსნობით გაკეთებულ სამ მნიშვნელოვან საქმეს.

**პირველი:** ვინ იცის, ჩვენი თემის რამდენი წევრის ნატვრა გახლდათ ე.წ. „დამპალოს“ ებრაელთა სასაფლაოს შემოღობვა. ეს არცთუ ისე ადვილად მოსაგვარებელი საქმე იყო, როგორც შეიძლება შორიდან მოეჩვენოს ზოგიერთს. რთული იყო როგორც ფინანსური, ასევე ორგანიზაციული თვალსაზრისით და როდენ სასიხარულოა, რომ დღეს ჩვენგან წასულთა საფლავები პირუტყვის სათარეშო არ არის — მას შემოავლეს ისეთი ღობე, რომელიც, ალბათ, საუკუნეებს გაუძლებს. ეს გაკეთდა უხმაუროდ.

**მეორე:** ვინ იცის, რამდენ უხერხულობას იწვევდა როგორც ადგილობრივი, ასევე უცხოეთიდან ჩამოსული ადამიანებისათვის,

ახლობლების საფლავების მოძებნა-მიგნება. გაკეთდა საიტი, სადაც მითითებულია როგორც ერთ აჭალის, ასევე დამპალოს სასაფლაოებზე განსვენებულითა ადგილმდებარეობა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ შეგიძლია სხვათა დახმარების გარეშე, მიაგნო შენთვის სასურველ საფლავს. ვფიქრობ, ზედმეტი იმაზე საუბარი, თუ რაოდენ დიდი საქმე გაკეთდა ამით. მერაბ ჩანჩალაშვილის ეს წამოწყება სრულყოფილად შეფასდება მაშინ, როდესაც თითოეულ ჩვენგანს დასჭირდება ახლობლის საფლავის მონახვა. ეს საიტი არის კარგი გზამკვლევი მომავალი თაობებისთვის, როცა ისინი მოინდომებენ თავიანთი წინაპრების მოგონებას და ამასი სხვისი დახმარება არ დასჭირდებათ.



ეს სასიკეთო საქმეც მერაბ ჩანჩალაშვილის ნამოქმედარია.

**მესამე:** თბილისის დიდი სინაგოგის ეზოც ხომ დაემსგავსა ეზოს. დაიგო ბლოკებად დახერხილი გრანიტის საშვილიშვილო საფარი.

ჯერჯერობით ეს სამი ეპიზოდი გამოვყავი. ვინ იცის, რომ ჩაფუღრმავდეთ, კიდევ რამდენი რამ იქნება აღნიშვნის ღირსი. ამჯერად მკითხველს წარმოვუდგინე ის, რაც ესოდენ თვალშისაცემია, თორემ, ვინ იცის, კიდევ რამდენი „ვითომ წვრილმანი“ საქმე გაკეთდა.

თუ ხმამაღალი ნათქვამი არ გამომივა, ალბათ, ბევრი ჯამათი ინატრებდა მერაბ ჩანჩალაშვილის მსგავს საქმიანებას.

სოსო აჯიპვილი.

### ტექნოლოგიური ნოვაცია

THIS CRAZY MACHINE TURNS AIR TO WATER?!



მიხეილ მირილაშვილის მიერ შექმნილი კომპანია „Water Gen“-ი რომელიც ჰაერიდან წყლის მიღებაზე მუშაობს მთელს მსოფლიოში ხდება პოპულარული. ამას ადასტურებს ამ ახალგაზრდის აღფრთოვანებაც, რომელმაც ჰაერიდან წყალი მიიღო.

არც თუ რთული წარმოსადგენია, ეს ახალი ტექნოლოგია, თუ რაოდენ სიხარულს მიანიჭებს მსოფლიოს იმ კუთხეებს, რომელშიც წყალს ოქროს ფასი ადევს.

### კიდევ ერთი არაბული სახელმწიფო...

კიდევ ერთმა არაბულმა სახელმწიფომ თქვა უარი ისრაელთან კონფრონტაციაზე — 23 ოქტომბერს აშშ პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა გამოაცხადა, რომ ისრაელსა და სუდანს შორის აშშ შუამავლობით მიღწეულია შეთანხმება ურთიერთობის ნორმალიზაციის თაობაზე. ევროპის კავშირმა განაცხადა რომ ამ ორ სახელმწიფოს შორის ურთიერთობის ნორმალიზაცია ხელს შეუწყობს ახლო აღმოსავლეთსა და წითელი ზღვის რაიონში სტაბილურობასა და განვითარებას. ამასთანავე განაცხადა, რომ მიესალმებიან კონფლიქტში ჩართული მხარეების ორმხრივ მოლაპარაკებას.

25 ოქტომბერს ცნობილი გახდა, რომ ისრაელ-სუდანის შეთანხმების შედეგად ისრაელის ტერიტორიას დატოვებს ამ ქვეყანაში არალეგალურად შეღწეული — ბევრი არალეგალი სუდანელი, რომლებმაც ისრაელის ხელისუფლებას პოლიტიკური თავშესაფრის მიღების თხოვნით მიმართეს.

აშშ ელჩი ისრაელში დავიდ ფრიდმანი აცხადებს, რომ ახლო აღმოსავლეთში ნამდვილი სამშვიდობო პროცესი ახლა დაიწყო: ისრაელთან ურთიერთობის ნორმალიზაციის თაობაზე ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს არაბთა გაერთიანებულმა ემირატებმა, ბახრეინმა, სუდანმა.

— კიდევ ათამდე არაბული სახელმწიფო განიხილავს საკითხს ისრაელთან ურთიერთობის ნორმალიზაციის თაობაზე. მე არ ვიცი, ეს პროცესი ერთ თვეს გაგრძელდება, თუ ერთ წელიწადს, მაგრამ ფაქტია, რომ უახლოეს მომავალში ასეთი შედეგი გვექნება.

2 ნოემბერს ისრაელის დაზვერვის მინისტრმა ელი ქოენმა განაცხადა, რომ ხუთი არაბული სახელმწიფო უკვე მზად არის ხელი მოაწეროს ისრაელთან სამშვიდობო ხელშეკრულებას. ესენია საუდის არაბეთი, ბახრეინი, ომანი, კატარი და ნიგერია. ასევე აცხადებენ, რომ თუ შეერთებული შტატების სათავეში დემოკრატი ჯო ბაიდენი მოექცევა, იგი აღარ განაგრძობს ტრამპის პოლიტიკას და ახლო აღმოსავლეთში სამშვიდობო პროცესი დამუხრუჭდება.

### მოსახლეობის ორთოდოქსალურ ნაწილში...

ისრაელის ჯანმრთელობის სამინისტრომ 7 ოქტომბერს პირველად გაამხილა, რომ ისრაელის მოსახლეობის ორთოდოქსალურთა ნაწილში კორონავირუსით დაავადებულთა სიკვდილიანობა 12% აღწევს. ეს ციფრი სამჯერ აჭარბებს იმას, რასაც

მოელოდნენ. წინასწარი პროგნოზის მიხედვით, ამ სექტორში სიკვდილიანობა გაცილებით ნაკლები უნდა ყოფილიყო. ორთოდოქსალურ სექტორზე მეტი სიკვდილიანობა მხოლოდ მოსახლეობის არაბულ ნაწილშია — 16%.

მძიმე, ან კრიტიკულ მდგომარეობაში მოხვედრილ ავადმყოფთა რაოდენობა: ორთოდოქსალთა შორის 15%, არაბულ სექტორში 24%.

როგორია მოსახლეობის შეფარდება? ისრაელის მოსახლეობის 12% ორთოდოქსალურ სექტორს განეკუთვნება, ხოლო არაბები — 21%.

ისიც გახდა ცნობილი რომ კორონავირუსით დაავადებულ სკოლის მოსწავლეთა 50% ორთოდოქსალთა ოჯახიდანაა.

### „არავის ძალუძს მათი მართვა, რაბინებსაც კი“

ბნეი-ბრაქის საავადმყოფო „მანიაეი ჰა-იეშუა“ს დირექტორი პროფესორი მოტი რავიდი:

— ორთოდოქსები მიეჩვენენ მიიღონ ყველაფერი და სანაცვლოდ არაფერი არ გასცენ. ისრაელში არ არის მოსახლეობის სხვა ჯგუფი, რომელიც მათსავით გულგრილად ეკიდება თავიანთ და სხვათა ჯანმრთელობას.

საავადმყოფოს დირექტორის ამ განცხადებას ორთოდოქსთა მრისხანე გამოძახილი მოჰყვა: ტრანსპორტის მინისტრის მოადგილემ ური მაკლევმა (პარტია „იაადუთ ჰა თორა“) პროფესორი რავიდი უმადური კაციაო:

— რავიდი იმათ პურს ჭამს, ვინც ეზიზღება. მუშაობს ორთოდოქსთა მიერ დაარსებულ საავადმყოფოში. ეს საავადმყოფო იმისთვის კი არ შექმენით, რომ რაიმე გამორჩენა მივიღოთ, არამედ ადამიანების საშველად და ამ საავადმყოფოს დირექტორი გამოგონილი ბრალდებებით, იმ ჭაში აფურთხებს, საიდანაც წყალს სვამს. პროფესორმა რავიდმა უნდა იცოდეს, რომ ორთოდოქსთა დიდი ნაწილი ემორჩილება დაწესებულ შეზღუდვებს. მან ისიც უნდა იცოდეს, საავადმყოფოებში რამდენი მოხალისე ორთოდოქსი უფლის ავადმყოფებს. პროფესორ რავიდზე უკეთ სხვამ ვინ უნდა იცოდეს, ადამიანების სიცოცხლეს როგორ უფრთხილდებიან ორთოდოქსები. თუ საავადმყოფოს დირექტორი ასეთი აზრის გახლავთ ჩვენზე, რატომ არ ტოვებს თანამდებობას?

მინისტრის მოადგილის გამოსვლიდან რამდენიმე საათში 82 წლის პროფესორმა საავადმყოფოს დირექტორის თანამდებობა დატოვა. ნასვლისას მიცემულ ინტერვიუში კი თქვა:

— ვერ გამიგია, რელიგიასთან რა კავშირი აქვს იმას, რასაც ესენი სჩადიან. არავის ძალუძს მათი მართვა, რაბინებსაც კი.

### ისრაელის ელჩი სამცხე-ჯავახეთში



რან გიდორი, მენახემ ელაზარი და ახალციხის ებრაული თემის წევრი სიმონ ლევიასპილი.

ისრაელის ელჩი რან გიდორი სამცხე-ჯავახეთს ეწვია. აქ იგი შეხვდა რეგიონის ხელმძღვანელებს, მოინახულა სხვადასხვა ორგანიზაცია, ეწვია ახალციხის ბეთ ქნესეთს.

### ისრაელის ჰუმანიტარული დახმარება

აზერბეიჯანმა ისრაელს ჰუმანიტარული და სამედიცინო დახმარების თხოვნით მიმართა.

ისრაელმა აზერბეიჯანში უკვე გაგზავნა დახმარება სამხედრო მოქმედების რეგიონებში დაზარალებული მოსახლეობისათვის. ისრაელმა დახმარება ძირითადად დაბომბილი ქალაქ განჯის მოსახლეობას გაუწია, სადაც დაბომბვის შედეგად

დაიღუპა 15 ადამიანი, უამრავი კი დაიჭრა, დაზიანდა. განჯაში გაიგზავნა თბილი ტანსაცმელი, გამათბობელი ელექტრომონოები, პირველი სამედიცინო დახმარების საშუალებები.

ისრაელის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა აზერბეიჯანში ჯორჯ დიკმა განჯის მოსახლეობას თავად ჩაუტანა დახმარება, მან დაათვალიერა დაზარალებული უბნები, შეხვდა უსახლკაროდ დარჩენილ მოსახლეობას, რომლებმაც ახლობელი ადამიანები დაკარგეს. აღსანიშნავია, რომ ისრაელს კარგა ხანია სტრატეგიული ურთიერთობა აკავშირებს აზერბეიჯანთან, ისრაელი ამ ქვეყანას შეიარაღებასა და საბრძოლო მასალებს აწვდის.

### სომხეთის რეაქცია

გაუწია რა ჰუმანიტარული დახმარება აზერბეიჯანს, ისრაელმა თავის მხრივ ჰუმანიტარული დახმარება სომხეთსაც შესთავაზა. სომხეთმა შეთავაზება უპასუხოდ დატოვა. მეტიც: ოქტომბრის დასაწყისში ისრაელიდან თავისი ელჩი გაიწვია. მთიანი ყარაბაღის პრეზიდენტმა არაიკ არუთინიანმა ისრაელი სომხეთის „გენოციდის ხელშეწყობაში“ დაადანაშაულა. გენოციდი კი, როგორც იგი აცხადებს, „ყარაბაღში სომეხი ხალხის წინააღმდეგ ეწყობა“.

### დანიელ ლევი—ლევიასპილის წარმატება



ISET - ეკონომიკის საერთაშორისო სკოლა იუწყება, რომ პროფესორი დანიელ ლევი ისრაელის ეკონომისტთა ასოციაციის პრეზიდენტად აირჩიეს. დანიელ ლევი გახლავთ საქართველოდან ბავშვობის ასაკში სენაკიდან წასული მეცნიერი, თუმცა, მას საქართველოსთან კავშირი არ გაუწყვეტია. ეკონომიკის საერთაშორისო სკოლა აცხადებს:

ჩვენ უზომოდ ვამაყობთ, რომ პროფესორი ლევი, რომელიც გამორჩეულად წარმატებული, გულისხმიერი და ცნობილი ეკონომისტი, ჩვენი ოჯახის წევრია. იმედი გვაქვს, პანდემია მალე დასრულდება და საშუალება მოგვეცემა, პირადად მივულოცოთ პროფესორს ეს დიდი წარმატება.

### ნობელის პრემია-2020

#### ეპრაელი ლაურეატები

თუ კაცობრიობა ჯერ კიდევ ვერ კურნავს კიბოს, თუ მან ჯერ კიდევ ვერ აითვისა მარსი, თუ მსოფლიოს რომელიმე კუთხეში ადამიანები კიდევ შიმშილობენ, რადგან ვერ გამოიძებნა ენერჯის ახალი საშუალებები, ეს მხოლოდ იმიტომ რომ ებრაელები, რომლებსაც ყველაფერი ეს უნდა გაეკეთებინათ, ოსვენციმის საკონცენტრაციო ბანაკების ღუმელებში ჩაფრთხილეს.

ელი შიზაელი მწერალი, ნობელის პრემიის ლაურეატი.

გამოქვეყნდა ნობელის პრემიის ახალ ლაურეატთა სია, 2020 წელს ნობელის პრემია მიენიჭა მეცნიერების, ლიტერატურის 11 გამორჩენილ წარმომადგენელს. ამათგან თითქმის ნახევარი — 5 ებრაელი გახლავთ (შეგახსენებთ, რომ ებრაელობა მსოფლიოს მოსახლეობის 0.2% გახლავთ, გაგაცნობთ ნობელის პრემიის ახალ ებრაელ ლაურეატებს:

- ფიზიოლოგია-მედიცინა — ჰარვი ჯეიმს ალტერი,
- ეკონომიკა — პოლ მილგრომი,
- ლიტერატურა — ლუიზა გლიუკი.
- ფიზიკა — როჯერ პერნოუზი,
- ფიზიკა — ანდრეა გეზი.

# მუდმივ ძიებაში

ზოია ჯინჯიხაშვილი გახლავთ ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ებრაელთა ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საერთაშორისო ასოციაციის წევრი. ავტორია სამოცხე მეტი სამეცნიერო ნაშრომის, მათ შორის ოთხი მონოგრაფიის. არის გერმანიისტი, კავკასია-საქართველოს ისტორიის მკვლევარი, გერმანელ მოგზაურთა თხზულებების ქართულ ენაზე მთარგმნელი.

**ლია კრიხელი. ქალბატონო ზოია, ჩემს წარდგინებას ალბათ, თავად განაგრძობთ, რომ მკითხველმა უკეთ გააცნოთ.**

**ზოია ჯინჯიხაშვილი.** შევეცდები. დავიბადე თბილისში, სიკეთით, კაცთმოყვარეობით, ხელგაშლილობით (ცნობილ, ტრადიციულ ებრაულ ოჯახში). შვილებსაც ამ ღირებულებებზე გვზრდიდნენ. ოჯახში ვეზიარეთ ებრაული ყოფის განუმეორებელ წესსა და ადათს. ტრადიციებს, ჩვენი ხალხის უკვდავ სულს. დედაჩემი — დინა დავითის ასული პაპისიმედოვი, რეპრესირებული ოჯახიდან გახლდათ. მისი პაპა, ცნობილი თალმიდ — ხახამი, რაბი მოჟე პაპისიმედოვი, 1937 წელს, ცხინვალის ექვს რაბინთან ერთად ციმბირში გადაასახლეს და მოხუცს იქ ამოხადეს სული. დედაჩემის მამა — დავითი კი, გააკულაკეს — წერილშვილიანი ოჯახი ყოველგვარი საარსებო საშუალების გარეშე დატოვეს. არც ჩემი მშობლები და არც მათი და-ძმანი არფერს გვიამბობდნენ ამის შესახებ — ამ თემზე საუბარი საშიში იყო. მხოლოდ ისრაელში ამოსვლის შემდეგ, შევიტყვე ეს საზარელი ამბავი. მათ ხსოვნას მივუძღვენი საგაზეთო სტატია და რადიო გადაცემა.

პატარა ასაკიდან დაგვევა სწავლისადმი მიდრეკილება. ამიტომაც იყო რომ ოთხივე უმაღლესი განათლებით აღჭურვილები გამოვედით ცხოვრების სარბიელზე. ოთხიდან ორმა კი, მეცნიერებას დავეუკავებინეთ მთელი ჩვენი ცხოვრება. ჩემმა დამ — გულიკო ჯინჯიხაშვილმა, თემის პირველმა და ერთადერთმა არქეოლოგმა, არქეოლოგიურ მეცნიერებას, მე კი, ჯერ გერმანიისტიკის განხრით, შედეგ ისტორიკოს-ეთნოგრაფის სპეციალობით, ებრაისტიკას დავეუკავებინე ჩემი ცხოვრება. ბედმა ინება და ჩემი დაც და მეც, ისრაელში ამოსვლამდე — 1993 წლამდე, ერთ სამეცნიერო კვლევით დაწესებულებაში — საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში ვმუშაობდით. თბილისი ყველაფერი იყო ჩემთვის, მის გარეშე ცხოვრება ვერ წარმომედგინა.

თბილისის თემამ არა მხოლოდ ჩემს მეცნიერულ მუშაობაში ჰპოვა ასახვა, მოკრძალებულ პოეტურ შემოქმედებაშიც. თბილისსა და იქაურ ებრაელთა ისტორიას ეძღვნება ჩემი მრავალმხრივი, საფუძვლიანი გამოკვლევა, რომელშიც დასაბუთებული მაქვს, რომ ქალაქის სახელიც, მისი უძველესი უბნები და ქალაქის გარშემო აღმართული მთების სახელებიც, ებრაული სახელებია. ტოპონიმი თბილისი, პირველად IV საუკუნეში იხსენიებამაშინ, როდესაც ებრაელთა დასახლებები იმ მიდამოებში, ქრისტეობამდე არსებობდა. ყოველივე ეს საშუალებას მძღვედა დამემტკიცებინა, რომ ქალაქის უძველესი დასახლება ებრაული იყო (?!) რედ.). ამ და საქართველოს ებრაელთა უძველესი ისტორიის საკითხებით დაინტერესებულ პირებს, შეუძლიათ ჩემს მოსაზრებას გაეცნონ თქვენი მონა-მორჩილის წიგნში „ებრაელები და საქართველო, დიასპორა თუ...“.

**ლ. კ. გავიხსენოთ სტუდენტური წლები.**

**ზ. ჯ.** სკოლის დამთავრების შემდეგ, ჩავირიცხე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე გერმანიისტიკის განხრით. იმდენად წარჩინებული სტუდენტი გახლდით, რომ უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ გადანიჭა მე-3 კურსიდან სწავლის გასაგრძელებლად გერმანიაში გავეგზავნენ. ეს უდიდესი წარმატება იყო, მაგრამ ებრაული, პურიტანული ოჯახისთვის ჩემი უცხოეთში სწავლა, ძალიან ძნელი გადასანწყვეტი აღმოჩნდა. სწორედ ამ დროს მომხდარმა, თითქოს შემთხვევითმა ამბავმა, მთლიანად შეცვალა ჩემი გეგმები და მომავალი ცხოვრებაც: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის, არქეოლოგიის და ეთნოგრაფიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში ტარდებოდა კონკურსი უცხო ენ-

ების სპეციალისტთა, მათ შორის გერმანიისტიკის, მისაღებად. მართალია, მე ჯერ კიდევ სტუდენტი ვიყავი, რომელსაც არავინ უმაგრებდა ზურგს და არც ვინმე დიდი კაცის შვილი იყო, მაინც მსურდა კონკურსში მონაწილეობა. კომპეტენტურ ფიურიზე ისეთი შთაბეჭდილება მოვახდინე, რომ ინსტიტუტში მთარგმნელად ხელშეკრულებით მიმიღეს, რაც ზღაპარს უფრო ჰგავდა. ამ შემთხვევამ მიმიყვანა მეცნიერების მექაში, სადაც წლების შემდეგ უნდა შესხმოდა ფრთები ჩემს ოცნებას, მემუშავა ებრაისტიკაში.

**ლ. კ. აქედან კი დაწვრილებით გვიამბოთ თქვენი სამსახურეობრივი მოღვაწეობისა და კარიერული ზრდის შესახებ.**

**ზ. ჯ.** შემოთხსენებულ ინსტიტუტში, ეთნოგრაფიის განყოფილებას ხელმძღვანელობდა საყოველთაოდ ცნობილი აკადემიკოსი, გიორგი ჩიტაია. სწავლა და მუშაობა მეტად პრომატევადი გახლდათ, მაგრამ საინტერესო და მიმზიდველი. ბატონ გიორგის გერმანიაში ჰქონდა განათლება მიღებული და ბრწყინვალედ ფლობდა გერმანულს. მე უშუალოდ მასთან მიხდებოდა მუშაობა. ეს ერთგვარ დაძაბულობას მიქმნიდა, მაგრამ შემოძლია სიამაყით მოგახსენოთ, არამც თუ არ შემირცხვენი თავი, ბევრი ქებაც მომისმენია მისგან. გერმანიისტიკა მუშაობის პერიოდში, დავინყე ინტენსიური ფიქრი იმაზე, თუ როგორ მომეხერხებინა ისტორიოგრაფიაში მუშაობა. ამისათვის საჭირო იყო მუდმივი შტატის მიღება. 80-იან წლების მეცნიერთა უმრავლესობა არ იყო დაინტერესებული, ებრაელთა ისტორიის კვლევით. ერთადერთი რაც აქვთ საკუთარი, ეს რელიგია და რელიგიას რად უნდა კვლევო. მე ამას არ ვეთანხმებოდი, ამიტომაც ყველანაირად ვიბრძოდი მიზნის მისაღწევად. ერთადერთი რაც კვლევა-ძიებაში მენმარებოდა, ეს ჩემი მონიტიზი, პროფესიონალიზმი და განათლება გახლდათ, მაგრამ როგორც ჩანს, ინსტიტუტის ხელმძღვანელობისთვის ეს არ იყო საკმარისი მემუშავა ამ მიმართულებით, ამიტომ უნდა მიმემართა აკადემიის პრეზიდენტისათვის. მიღებაზე მისული, იმდენად ვლელავდი, რომ სიტყვის თქმა ვერ მოვახერხე, ცხარედ ავტიროდი. პრეზიდენტი, დიდი მეცნიერი და დიდი ადამიანი, აკადემიკოსი ევგენი ხარაძე, მომეფერა, დამიყვავა და მითხრა: „ახლა ნადი, დამშვიდდი და დამინერე ავტობიოგრაფია, არაფერი გამოგჩერს, ყველაფერი ჩაწერე, ორი დღის მერე მოდი, მდივანი გაფრთხილებული მეყოლება, რიგი მოგცესო“. დაპირებულ დღეს პრეზიდენტმა მიმიღო, გულიანყურით გაეცნო ჩემს მონაცემებს, თავზე ხელი გადამისვა და მითხრა: „ეჭვი არ მეპარება, წარმატებული მეცნიერი იქნებით და სახელს შემატებთ მეცნიერებასო“. გერბიან ფურცელზე დაწერა ბრძანება ჩემთვის მუდმივი შტატის გამოყოფის შესახებ. მესხიერებაში არასოდეს არ ნაიშლება ამ დიდი ადამიანის სახე. მეორე დღეს, ინსტიტუტის შტატში ვირიცხებოდი. ეს იყო 1982 წელი. დიდი დაბრკოლების მიუხედავად, 1983 წელიდან მივიღე უფლება ებრაისტიკაში მუშაობისა და რადგანაც ინსტიტუტში უკვე ყველა მიცნობდა, იმავე წელს გახდა შესაძლებელი ჩემთვის სადისერტაციო თემის დამტკიცება, „საქართველოს ებრაელთა ყოფა და კულტურა“. დისერტაციის ხელმძღვანელად აკადემიკოსი გიორგი ჩიტაია დაინიშნა, შემდეგ დამატა პროფესორი ჯულიეტა რუხაძე. უდიდესი ენთუზიაზმით ვიკვლევდი ყველაფერს, რაც ებრაელობას შეეხებოდა. ვამზებდით ასეული და ათასეული წლების წინანდელი ჩვენი ბრწყინვალე ისტორიის, ეთნიკური ყოფისა და კულტურის უცნობ, თუ შეგნებულად გადაკეთებულ ფაქტებსა და მოვლენებს, რაც არც თუ იშვიათად, იწვევდა ზოგიერთ მეცნიერთან დაპირისპირებას და კონფლიქტს. მეორეს მხრივ, ჩემი მონაცემები, მუშაობის დონე დაუნახავი და შეუფასებელი არ დარჩენილა. მთავრი ეს იყო. დისერტაცია ოთხ წელიწადში მოვამზადე, მაგრამ მის დაცვას არ ვჩქარობდი, რამეთუ პარალელურად ისტორიკოს-ეთნოგრაფის სპეციალობას ვეუფლებოდი და საკანდიდატო მინიმუმის გამოცდებს ვაბარებდი. მეორეს მხრივ კი, არ მინდოდა ვინმეს ზერეღედ, ნაჩქარევად გაკეთებულ ნაშრომად ჩათვალა. ამიტომ გადავდე მისი დაცვა, სამაგიეროდ, დროზე გავაკეთე დისერტაციის ავტორეფერატი რუსულ ენაზე, რომელიც გაიგზავნა საბჭოთა კავშირის დიდ სამეცნიერო ცენტრებში და ეროვნულ ბიბლიოთეკებში, მათ შორის, მოსკოვის დიდ ეროვნულ ბიბლიოთეკაში. ეს იყო 1989 წლის მიწურულს. ამ ბიბლიოთეკაში გასცნობიან ავტორეფერატს მოსკოვში სტუმრად მყოფი ამერიკელი მეცნიერები ჩიკაგოს უნივერსიტეტიდან, რომლებიც იმდენად დაინტერესებულან ჩემი მუშაობითა და თემატიკით, რომ საკავშირო ეთნოგრაფიის ინსტიტუტის დირექტორის მეშვეობით, რომელიც მე კარგად მიცნობდა, დამიკავშირდნენ და მთხოვეს



იმ ხანებში, ამერიკაში, ჩიკაგოს უნივერსიტეტის ეგიდით გამომავალი, ძალიან პრესტიჟული ენციკლოპედიისათვის დამენერა სტატია საქართველოს ებრაელებზე. ამერიკელ მეცნიერთა კიდევ ერთი თხოვნა შევასრულე. ჩიკაგოს უნივერსიტეტის, ანთროპოლოგიის დეპარტამენტის შეკვეთით, გავაკეთე კიდევ ერთი ნაშრომი საქართველოს ებრაელებზე.

1990 წელს, სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე, დავიცავი დისერტაცია თემაზე: „საქართველოს ებრაელთა ყოფა და კულტურა“.

ამ პერიოდში ძალიან აქტიურად ვიბრძოდი უსამართლოდ გაუქმებული, ჩვენი ეროვნული მუზეუმის აღდგენისათვის. რომ იტყვიან, რკინის ქალამანი მეცვა და მაღალი ინსტანციების კარდაკარ დავდიოდი, რომ ეს საკითხი დადებითად გადაწყვეტილიყო, რაიმე წინსვლა ჰქონოდა. 1988 წელს მოვახერხე გაზეთ „თბილისში“ გამოქვეყნებისა წერილი, რომელშიც მოვითხოვდი და ვასაბუთებდი მუზეუმის აღდგენის აუცილებლობას. 1991 წელს საბჭოთა კავშირის დიდი ენციკლოპედიის („Большая советская энциклопедия“) მესვეურთაგან მივიღე თხოვნა, გამოცემისათვის დამენერა ორი ნაშრომი. 1990 წელს, ცვლილებები ხდება ჩემს სამსახურეობრივ საქმიანობაში — უფროს მეცნიერ-თანამშრომლად დამანიხაურეს. ამ პერიოდისათვის ჩემს მიერ მოპოვებული ებრაული მასალები ძალიან მოთხოვნადი იყო: ჩემს გარდა, ამ მასალებით სარგებლობდნენ მომიჯნავე დარგის სპეციალისტები. იმდენად მოთხოვნადი გახდა ებრაული მასალები, რომ ინსტიტუტის ხელმძღვანელობის წინაშე ნამოიჭრა საკითხი, მოხერხებულყო ჩემი სამეცნიერო მივლინებით ისრაელში გამეზავნება. ეს საკითხი მეცნიერებათა აკადემიამ დადებითად გადაწყვიტა.

**ლ. კ. რა უფრო ადვილია, სხვისი შეცვლა თუ საკუთარი თავის?**

**ზ. ჯ.** ადვილი არც ერთია და არც — მეორე. ადამიანი პლასტელინისაგან არ არის გამოძერწილი, რომ დაშალო და ხელახლა გამოძერწო შენი სურვილისა და შეხედულებისამებრ. ყოველი ადამიანი ცალკე ინდივიდია და ყოველნაირად ცდილობს შეინარჩუნოს თავისი ინდივიდუალობა. ძნელად ემორჩილება ცვლილებებს, მითუმეტეს თუ, სხვა ცდილობს მის შეცვლას. ადამიანის გარდაქმნა რთული პროცესია და დადებითი შედეგები ძალიან იშვიათია, მაგრამ შეიძლება მოხდეს გამოხატვისი. ეს დამოკიდებულია ინდივიდის ნებაზე, ფსიქიკასა და სულიერ ნყოფაზე.

**ლ. კ. ეთანხმებით თუ არა გამოთქმას: „მიღწევა უფრო ადვილია, ვიდრე მიღწეულის შენარჩუნება“.**

**ზ. ჯ.** მართალია, მიღწეულის შენარჩუნება ძნელია, მაგრამ არც მიღწევაა ადვილი. არიან ისეთები, რომლებიც შედარებით იოლად აღწევენ და ასევე შედარებით იოლადაც კარგავენ მიღწეულს და პირიქით, ძნელად აღწევენ და შენარჩუნება ასე თუ ისე, შეუძლიათ. ყველაფერი დამოკიდებულია ადამიანის უნარსა და შესაძლებლობაზე.

**ლ. კ. ადამიანის სურვილია თუ ბუნებრივი თვისება, რომ ვარდისფრად უყურონ ცხოვრებას. როდის მოიხსენით „ვარდისფერი“ სათავალე, თუ საერთოდ ატარებდით?**

**ზ. ჯ.** „ვარდისფერი სათავალი“ (ქქერა, უფრო ბუნებრივი თვისებაა, ვიდრე სურვილი. მეტწილად უმანკო, სუფთა ადამიანებისთვისაა დამახასიათებელი, რომლებიც ყველაში და ყველაფერში უმაკო ბავშვებივით კარგს და ნათელს ხედავენ. პირადად მე, დიდხანს ვატარებდი ამგვარ სათვალეს მიუხედავად იმისა, რომ ცხოვრებამ ბევრი რამ მასწავლა. ეს ჩემი გულუბრყვილობის გამოა და რაც დიდხანს შემრჩება, მით უკეთესი.

ლ. კ. ყველა თაობა აიდელებს თავის ეპოქას. მიგაჩნიათ, რომ ზნეობრიობის დეფიციტია ამ თაობაში?

ზ. ჯ. ყველაფერი შედარებითაა ამ ცხოვრებაში, მათ შორის ზნეობაც. დღევანდელი ზნეობა მოიკოჭლებს და ძალიანაც მოიკოჭლებს. სამყარო იცვლება, დრო იცვლება, მასთან ერთად იცვლება ადამიანები. დღეს ტექნოლოგიური ბუმი და დღევანდელ ახალგაზრდებს აღარ აკმაყოფილებთ გუშინდელი არც მიღწევები, არც ურთიერთობები, არც მორალურ-ზნეობრივი კრიტიკიუმები. ყველაფერს დღევანდელი თვალთუყურებენ და ასე ქმნიან ახალ ურთიერთობებს, რომლებშიც ზნეობას სხვა განზომილება აქვს და არ ჰქავს უწინდელს. ამგვარი ცვლილებები იწვევდნენ ე.წ. „მამათა და შვილთა“ ბრძოლას. ყოველი წინა თაობა გულწრფელი სინანულით განაცხადებს, რომ დღევანდელი თაობა ზნეობრივად ჩამორჩება წინამორბედს. ასე გაგრძელდება შემდგომშიც.

ლ. კ. თქვენ გაქვთ ფუფუნება ნიჭისა და საქმის ძირეული ცოდნის სახით. ჩვენ კი გვამედირებთ იმ გამოკვლევებით, რომლებსაც თქვენი წყალობით ვეცნობით. რა გრძნობას იწვევს ეს თქვენში?

ზ. ჯ. მოგეხსენებათ: მე არა მხოლოდ ჩვენი თემის, უძველეს ისტორიასაც ვიკვლევ, მაგრამ ასეც რომ არ იყოს და მხოლოდ ჩვენი თემის უძველესი ისტორიის, ეთნიკური ყოფის და კულტურის თუ წარსულის ბევრი სხვა ასპექტის კვლევით ვიყო დაკავებული, ესეც ერის ისტორიის კვლევაა, რამეთუ თემი განუყოფელი ნაწილია ერისა და ბუნებრივია, რომ ნებისმიერ მკვლევარს, ვინც არ უნდა იყოს ის და მითუმეტეს ჩვენი უძველესი, კულტურის მქონე თემის მკვლევარს, დიდ სიამოვნებას უნდა ანიჭებდეს, ღვთის მიერ მოძებული უწინარი და დიდი პასუხისმგებლობით აკეთებდეს ასეთ ეროვნულ საქმეს. რა დასაშალოა, რომ ჩვენი თემის უნიკალური ისტორია, საუკუნეების განმავლობაში, განაკუთრებით, წინა ორი საუკუნის მანძილზე, შეგნებულად, თუ შეუგნებლად, ისე იცვლებოდა, მახინჯდებოდა და შავი ლაქებით იფარებოდა, რომ ქართულ ისტორიოგრაფიას, მწერლობას და საერთოდ ქართველთა ისტორიულ მემკვიდრეებს, უდიდესი პოტენციალი და ღვაწლის მქონე ჩვენი თემი, მხოლოდ ვაჭრებად შემორჩა. მადლობელი ვარ უზენაესის, რომ მე ამომიჩნია, მომცა ის ნიჭი და უწარი და ამასთან, გაბედულება, რომ ჯერ კიდევ, კომუნისტური რეჟიმის პერიოდში, შევჭიდებოდი იმ საქმეს, რასაც ებრაელთა ნამდვილი, მართალი, უტყუარი წარსულის გამოაშკარავება და დღის სინათლეზე გამოტანა ჰქვია. იკვლევდე, წერდე შენი ხალხის ისტორიას, აკეთებდე იმ საქმეს, რაც არასდროს არავის უკეთებია (? რედ), ეს ღვთისაგან ბოძებული ნიჭიცაა

და უდიდესი ტვირთიც. სხვადასხვა პირობებისა და გარემოებების გამო, ზოგჯერ იმდენად მძიმე, რომ არაერთხელ დავმდგვარ ალტერნატივის წინაშე, ხელი ამელო ამაზე. მხოლოდ ჩემი ხალხისადმი, მისი წარსულისადმი უდიდესმა სიყვარულმა და პატივისცემამ, არამც თუ არ მომცა ამის გაკეთების უფლება, კიდევ უფრო გამიცხოვრება ამგვარი მუშაობის სურვილი და დღემდე სიამოვნებით ვენევი ამ ჭაპანს. შემომქმედს კი, მადლობას ვუცხადებ, ამქვეყნად მოსვლა-დაბადება, თუნდაც ამისთვის, მართლაც რომ ღირდა.

ლ. კ. რას გვეტყვი თქვენს მიერ გამოცემულ ნიგნებზე და კრიტიკოსის თვალთ, როგორ შეაფასებდით მათ.

ზ. ჯ. ჩემი პირველი ნიგნი, 1999 წელს გამოიცა თბილისში. მასში ნაკვლევია და გაანალიზებულია ერთი მხრივ, ბიბლიის დროინდელი ებრაელებისა და საქართველოს ებრაელთა ეთნო-კულტურული ერთობა, ტრადიციების უწყვეტობა, ხოლო მეორეს მხრივ, განსხვავებულ დროსა და გარემოში, მათი ტრანსფორმაცია და ადგილობრივ საფუძველზე შექმნილი, ლოკალური თავისებურებანი. მეორე ნიგნი „ებრაელები და საქართველო, დიასპორა თუ...“, რომელიც 2012 წელს გამოიცა ისრაელში, იბერიულ-ებრაული ფენომენის კვლევის პირველი ცდაა. ნაშრომში სრულიად ახლებურად არის გააზრებულ-დასაბუთებული იბერ-ებრაელთა, კავკასიისა და ესპანეთის იბერთა ეთნოგენეზისის ისეთი საკვანძო ასპექტი, როგორცაა ებრაულ-იბერიული გენეტიკური ერთობისა და ებრაელთა კავკასიური წარმოშობის თეორია, იბერ-ებრაელების, იბერ-ქართველების და იბერ-ბასკების გენეტიკური ნათესაობა. მესამე ნიგნი „შაბათი, ჰუმანიზმისა და თავისუფლების სიმბოლო“, ეძღვნება კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე ჰუმანიზური აქტის, შაბათის ანუ დასვენების დღის წარმომავლობას, მის არსსა და მნიშვნელობას, წარმოშობის დროს და პირობებს, შაბათის ისტორიულ როლს და დამსახურებას, როგორც ებრაელი ხალხის, ისე კაცობრიობის ჰუმანიზაციისა და დემოკრატიზაციის, თავისუფლებისა და თანასწორობის პრინციპების გატარებას, ცხოვრებაში დანერგვასა და დაცონებას. ნიგნი გამოიცა 2016 წელს ისრაელში. მეოთხე ნიგნი „იერუსალიმის საკრალური იდეა ვეფხისტყაოსანში“ გამოვეცი ცოტა ხნის წინათ. მასში მრავალდარგოვანი, ღრმა, მეცნიერული კვლევის საფუძველზე პირველად, ვეფხისტყაოსანის 800 წლოვანი არსებობის მანძილზე, გახსნილია პოემის ალეგორიულ-ზღაპრული ფაბულა, სიუჟეტი და გამოაშკარავებულია ის რეალური, ისტორიული მოვლენები, რომლებიც საფუძველად უდევს პოემას. კერძოდ კი, მე-11-13 საუკუნეებში ქრისტიანებსა და მუსლიმებს შორის მიმდ-

ნარე ჯვაროსნული ომების სახელით ცნობილი ე. წ. „წმინდა ომები“ ერეც ისრაელისა და მისი დედაქალაქის, იერუსალიმის დასაპყრობად და იქ საბატონოდ, რაც არასდროს არ გაცხადებულა არც ქართულ ისტორიულ, არც რუსთველოლოგიურ ლიტერატურაში, საერთოდ ქართულ მწერლობაში, ისე, როგორც არაფერი თქმულა პოემის ავტორის შესაძლო ებრაულ წარმომავლობაზე (? რედ.). ხსენებული ნიგნი სრულიად ახალი სიტყვაა მეცნიერებაში, მას პრეცედენტი არ გააჩნია. რაც შეეხება მეხუთე ნიგნს, ის უკვე მზად არის და ელოდება თავის რიგს.

ლ. კ. რამდენ ხანში წერთ ნიგნს?

ზ. ჯ. ნიგნს გააჩნია, მაგრამ როგორც არ უნდა იყოს, მაინც მოკლე დროში ვწერ. როცა ვიცი რას და რატომ ვწერ, წინდანი მაქვს გააზრებული, ჩატარებული მაქვს მოსამზადებელი სამუშაო, ხელთ მაქვს საჭირო ლიტერატურა, მასალის ქალაქზე გადატანა, უკვე ძნელი აღარ არის. თუმცა, წერის დროს მიხდება ცვლილებების შეტანა, ზოგჯერ ძალიან სერიოზულსაც. ყველაზე რთული და ხანგრძლივი პროცესი ნიგნზე მუშაობისას, ჩემთვის არის ტექსტის კომპიუტერზე ამწყობ და ტექნიკური სამუშაოები, რომლებსაც უამრავი დრო და ენერგია მიაქვთ.

ლ. კ. თავად რომ განიხილოთ ეს ნიგნები ლიტერატურული კრიტიკის თვალთ, რას იტყვობთ?

ზ. ჯ. ჩემს შეფასებაზე უფრო უპირიანი იქნება, მკითხველთა აზრი. ლიტერატურაში გათვითცნობიერებულთა ერთსულოვანი აზრით, ისინი მართლაც, მიჩნეულია მხატვრული ნაწარმოებებად იმიტომ, რომ ის სტილი წერისა, რომლითაც ყოველგვარი ხელოვნური მცდელობის გარეშე, მწერებმა, მიჩნეულია მხატვრულ-პოეტურ სტილად. ამ სტილში დანერგილი ნაწარმოებები, იქნება ის მეცნიერული, თუ ლიტერატურული, ინოვაცია მხატვრულ პროზად. შესაძლოა, ამაზე გავლენა მოახდინა პოეზიის სიყვარულმა, რომელთა ნიმუშების დეკლამირება ხშირად მიხდებოდა სკოლასა თუ უნივერსიტეტში და მხატვრული კითხვის ოსტატადაც კი ვითვლებოდი. ისრაელში ამოსვლამ ისე, როგორც ბევრ სხვას, მეც დამაწყებინა ლექსების წერა. კვლევაც მეცნიერებისა თუ ლიტერატურათმცოდნეობის მიერ გამოთქმულმა დადებითმა შეფასებამ, გამიჩინა მკრეხელური აზრი, როდესმე ეს ლექსები ერთ კრებულად ავიკნძო და გამოვცე. ქალბატონ ზოიას საინტერესო საუბრისთვის მადლობა გადავუხადე და გამომშვიდობებისას იმედი გამოვთქვი, რომ გაგრძელდება იქნება, როცა მომდევნო ნიგნი იხილავს დღის სინათლეს.

ლია კრიხელი  
სექტემბერი 2020, ისრაელი.

### მბრალული კალენდრები



თბილისის ებრაულმა სათემო სახლმა, ისევე, როგორც წინა წლებში, გამოსცა 5781-ე წლის (2020-21 წლების) ჯიბის ებრაული კალენდარი, რომლის შესავალ ნაწილში ვკითხულობთ: „თბილისის ებრაული სათემო სახლში აგერ უკვე 17 წელია წარმატებით ხორციელდება „ჯოინთის“ მიერ ჩამოყალიბებული თემისათვის აუცილებელი მაღალი ხარისხის პროგრამები: სოციალური, კულტურული, საგანმანათლებლო, საქველმოქმედო, აღმზრდელობითი, რელიგიური, საბავშვო და სხვა.“

შემდეგ: „ებრაულ სათემო სახლში მოქმედი ორგანიზაციების (საქველმოქმედო ცენტრი „ხსედ ელიაჰ“, კულტურულ-საგანმანათლებლო ფონდი, პროგრამა „ბავშვთა ინიციატივა“ ესოდენ საჭირო და მეტად მნიშვნელოვანი პროექტებით, კლუბი „26 საუკუნე“ და სხვ.) საქმიანობა ავსებს და სრულყოფს ერთმანეთს.“

კალენდრის შედგენაში მონაწილეობა მიიღეს ზ. დავარაშვილმა, ი. მიქაძემ, ხოლო გამოცემაში

მონაწილეობდა ნათელა პატარკაციშვილი.

საქართველოს ებრაელთა მსოფლიო კონგრესის მიერ გამოცემული 5781 წლის კალენდრის პირველი გვერდი სისადავით ხასიათდება, მეორე გვერდზე მოთავსებულია ისრაელის პრემიერ-მინისტრის ბინიამინ ნეთანიანის, და მთავარი რაბინის დავით ლაუს საახალწლო მილოცვები მსოფლიოში მიმდებარებული ქართველი ებრაელებისადმი.

ყოველი კალენდარული თვის გვერდზე მითითებულია, თუ რომელ საათზე დგება შაბათი იერუსალიმში, თელ-ავივში, თბილისში, მოსკოვში, პეტერბურგში, ვენაში, ანტვერპენსა და ნიუ-იორკში — ე. ი. ყველა იმ ქალაქში, რომელშიც ქართველ ებრაელთა ასეთი მნიშვნელოვანი კონტიგენცია დასახლებულია.

კალენდარში მოთავსებულია ფოტოები სემ კონგრესის არჩეული პრეზიდენტის მომე მირილაშვილის სახ. თელ-ავივის ბეთ ქნესეთისა და ქ. ლუდის საქართველოს ებრაელთა მთავარი რაბინის რაფაელ ელაშვილის სახ. სალოცავისა.

ებრაული წელთაღრიცხვის ახალი წლის კალენდრის შედგენის სულ სხვაგზა აურჩევია ნიუ-იორკის ქართველ ებრაელთა სალოცავის მიერ გამოცემული კალენდრის შემდგენელს ისაკ (ირაკლი) კრიხელს — მან კალენდარს დღეთა, კვირებისა და თვეების განუწყვეტელი მდინარების ამოკითხვის ფუნქცია მისცა, საგანმანათლებლო-კულტურტრეგულური ამოცანაც დააკისრა — ყოველი თვის გვერდზე, გარდა დღეთა ინგლისურ და ივრითის ენაზე დასახელებისა, მოთავსებულია ებრაული კლასიკური მემკვიდრეობის ნიმუშთა ქართული თარგმანი. ასე მაგალითად: სექტემბრის თვის გვერდი გვაცნობს „ბერეშითის“ ჰაფტარას, ოქტომბრისა — „ემეთ ხაილ მიმცა“-ს — იუდეის მეფე შლომოს (სოლომონ ბრძენის) რჩევა-დარეგებებიდან, მომდევნო გვერდებზე თეილიმის — ფსალმუნთა ქართული თარგმანებია განლაგებული.

კალენდრის ბოლო გვერდები ეძღვნება კინოცოდნე ოთარ სეფიაშვილის დაბადების 90-ე წლისთავს. დასასრულს კი ისაკ კრიხელი დასძენს: — უღრმეს მადლობას მოვახსენებ ბატონ ნოდარ ფალავს (პარლაგაშვილს), რომელიც მუდამ მზადყოფნაშია საჯამათო საქმისათვის. მისი თანადგომით და მონაწილეობით შედგა ჩვენი თემის წინა ორი წლის და წლებანდელი ებრაული კალენდარი.

„ოლამი ჯორჯია“ ამ ბოლო წლებში, თითქმის დაარსების დღიდან სცემს კალენდარს. ამჯერად გამოცემულმა კალენდრის შესაბამისი გვერდები იმ ერთობ საჭირო და მნიშვნელოვანი საქმეების რეკლამირებისათვის გამოიყენა, რომელსაც აქტიურად ეწევა. ეს საქმიანობა კი ერთობ მრავალფეროვანია და მოიცავს არა მხოლოდ ახალგაზრდობის სწავლებას — ივრითის, ტრადიციების, იუდაიზმის საფუძვლების დაუფლებას, საქართველოს წამყვან კომპანიებში დასაქმებასაც კი.

მკითხველს იმასაც ვაუწყებთ, რომ „ოლამი ჯორჯიას“, დირექტორი რაბი არონ მდინარაძე გახლავთ. კალენდრის გამოცემა კი დაფინანსებულია ჯამაათის წევრების მიერ.



# ოთარ სეფიაშვილის 90 წლისთავისათვის

## სამი ამონარიდი ოთარ სეფიაშვილის ნიბნიდან „ხსოვნა“

შესრულდა 90 წელი ცნობილი კინომცოდნის, საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის და როგორც ქვემოთმოყვანილი მისი ნიბნის — „ხსოვნა“ — ამონარიდებიდან დავინახავთ, ჩინებული ესეისტიკის ოთარ სეფიაშვილის დაბადებიდან. ოთარ სეფიაშვილის სახელთან ქართული კინოცხოვრების ბევრი სასახლო ფურცელია დაკავშირებული, თუნდაც პროექტი „ილუზიონი“ გავისხენოთ, მაგრამ ვფიქრობთ, ნიბნი „ხსოვნა“ განსაკუთრებულ ადგილს იჭერს მის მემკვიდრეობაში.

### ინტერმედია მეორე

ძალზე საგულისხმოა ის გარემოება, რომ ქართული საისტორიო წყაროები და მხატვრული ლიტერატურაც საქართველოში ებრაელთა მოსვლას წარმოსახავენ და აფასებენ, როგორც მნიშვნელოვან დადებით მოვლენას ქართველი ხალხის ისტორიაში. უფრო მეტიც: შეიძლება ითქვას, რომ ძველი ქართველი მესისტორიებისა და მწერლების დამოკიდებულება ამ ფაქტისადმი ამკარად პროებრაულია. სწავლულ ალექსანდრე ჯავახიშვილის აზრით, ებრაელთა ღირსეულ მდგომარეობას ქართლოსიანთა ქვეყანაში განაპირობებდა მათი მაღალი ეროვნული კულტურა; რომ ებრაელი მწიგნობრები გამოირჩეოდნენ არა მხოლოდ საღვთო წერილის ღრმა გაგებით და განმარტებით, არამედ სამყაროს თავისებური გააზრებით და მსოფლგანცდითაც. ისინი დახელოვნებული იყვნენ მედიცინაშიც, ხოლო მათი მიდრეკილება ალბ-მიცემობისადმი თანხვდა ქვეყნის ინტერტესებსო. ამასთან მეცნიერი საგანგებოდ აღნიშნავდა, რომ ქართველი ებრაელები ყოველთვის თანაზიარ იყვნენ ქართველთა ისტორიული ბედისა და არასოდეს შეუღახიათ ერთა თანაცხოვრების ოდინდელი ნორმები...

შესაძლოა, ქართული საისტორიო ტრადიციით დამკვიდრებულმა ამგვარმა კონცეფციამაც უბიძგა იმ ტენდენციას, რომელმაც განსაკუთრებით იჩინა თავი ბოლო პერიოდში. ზოგი მკვლევარი ცდილობს ქართველთა და ებრაელთა ნათესაობის დადგენას. საუბარია არა ორი უძველესი და მსგავსი ბედ-იღბლის ხალხის სულიერ ნათესაობაზე, არამედ წარმომავლობით, გენეტიკურ ნათესაობაზე. რაღა თქმა უნდა, ამ საკითხისადმი დამოკიდებულებაში არ არსებობს ერთსულოვნება, არის კამათი, დავა, ანთროპოლოგიური მონაცემების, ძველი, ტოპონიმებისა და ლეგენდა-თქმულებების ახლებურად გააზრების ცდა... ჯერ კიდევ 1886 წელს სწავლული მოსე ჯანაშვილი ნაშრომში „საქართველოს საეკლესიო ისტორია“ აღნიშნავდა, რომ ქართველი ებრაელები ნამუები არიან იმ ქართველებისა, რომლებიც საქართველოში გადმოსახლების შემდეგ სარწმუნოებისა იყვნენ. მეცნიერს მხედველობაში ჰქონდა არა კერძოდ ებრაელთა გადმოსახლება, არამედ საერთოდ ქართველურ ტომთა მოსვლა და დამკვიდრება იმ მიწა-წყალზე, რომელსაც ქართლოსიანთა ქვეყანა ეწოდა. ეტყობა, ამ მოსაზრებას იზიარებს დოქტორი იცხაკ დავიდი და კიდევ უფრო აღრმავებს, მას, როცა მსჯელობს ებრაელთა თავდაპირველი სამშობლოს და მათი წარმომავლობის გამო. იგი არაორაზროვნად მიგვანიშნებს ხმელთაშუაზღვეთის რეგიონში გავრცელებულ ვეერ-ებერ-იბერის იდენტურობაზე, რაც, მისი აზრით, ქმნის თავისებურ სამკუდხედს „კავკასია-პალესტინა-პირინეის ნახევარკუნძულის სახით, როგორც ეთნიკურ-კულტურული, ისე ეროვნული ასპექტებით“... ალბათ, ამ ტენდენციის გაჩენას ხელს უწყობდა ის ტრადიცია, რომ ქართლში ებრაელების მოსვლის შემდეგ დამკვიდრდა ისეთი სახელწოდებანი, როგორიცაა იბერია-ივერია (საქართველო) და იბერიელ-ივერიელი (ქართველი). ზოგი მეცნიერი ამ ტერმინებს — „იბერია“, „იბერიელი“-ეთნონიმ „ებრაელთან“ აიგივებს.

ამ ადრეული საისტორიო წყაროებიდან, რომლებშიც გვხვდება ცნობა იბერიელთა ებრაულ წარმომავლობაზე, უძველესია მოვსეს ხორენაცის „სომხეთის ისტორია“ (მეხუთე საუკუნე). ხორენაცი არ ასახელებს, რა წყაროს ეყრდნობა, მაგრამ ამკარაა, რომ მის დროს გავრცელებული ყოფილა მთარული, ზეპირსიტყვიერი, თუ მწიგნობრული ვერსია ივერიელთა პალესტინიდან მოსვლის გამო...



იბერიელთა გენეალოგიაზე განსაკუთრებით გაამახვილა გულისყური მეათე საუკუნის პირველ ნახევარში ბიზანტიის კეისარმა, მწერალმა და ისტორიკოსმა კონსტანტინე პორფიროგენეტმა. იგი აღნიშნავდა: „საცოდნელია, რომ თავისი თავის განმადიდებელი იბერები, ესე იგი კუროპალატის იბერები, ამბობენ, რომ ისინი შთამომავლები არიან ურიას ცოლისა, რომელიც დავითმა, - ნინასწარმეტყველმა და მეფემ, — შეაქცინა: ისინი ამბობენ, რომ თვითონ შთამომავლობენ მისი შვილებისაგან დავითთან რომ შეეძინა.“ უეჭველია პორფიროგენეტს, როცა ასახელებს „ურიას ცოლს“ მხედველობაში აქვს ბიბლიის „მეორე მეფეთა“ ნიბნი გადმოცემული ამბავი ურია ხეთელისა და მისი ცოლის „ქმულკეთილ ფრიად“ ბათუმბასი (ბერსაბე, ვირსავია), რომელიც დაქვრივებული ცოლად შეირთო მეომარმა და მეფესალმუნე მეფე დავითმა. სხვათაშორის ბათუმბა დედა გახლდათ ბრძენი სოლომონისა. აქვე აღვნიშნავ, რომ ბიზანტიელი ისტორიკოსი სიტყვას „ურია“ იყენებს არა როგორც ეთნონიმს, არამედ როგორც საკუთარ სახელს, რაც „ღვთიურ სინათლეს“ ნიშნავს.

დოქტორი იცხაკ დავიდი უფრო შორს წავიდა (პირდაპირი გაგებითაც). იგი უარყოფს ებრაელების ტრადიციულ მიკუთვნებას სემიტებისადმი და ქართველთა და ებრაელთა გენეტიკური ნათესაობის ძირების დასადგენად ოთხი ათასი წლის წინანდელი, ანუ ბიბლიამდელი ეპოქის მოვლენების მოხმობას ცდილობს. მკვლევარი გვითავაზობს ებრო-იბერიული გენეტიკური წრეხაზის თეორიას და აცხადებს: „ებრაული ჰაბირუს ტომები, აბორიგენი იბერო-კავკასიური ტომების შემადგენლობაში, გენეტიკურად მომდინარეობენ კავკასია-მცირე აზიიდან, ინტანსიურ სემიტისაგან განიცდიან პალესტინაში და შემდგომში გარკვეული ტომების სახით ისევ უბრუნდებიან კავკასია-მცირე აზიას... ეს არის, განაგრძობს მკვლევარი, -უკუკავკასია-იბერიზაციის რთული, მრავალმხრივი, ეთნო-ანთროპოლინგვისტური და რელიგიურ-კულტურული პროცესი. აქვე იკვეთება ხსენებული გენეტიკური ნიბნი... ებრაელები, ამბობს იცხაკ დავიდი, - გენეტიკურად არ წარმოადგენენ ავტოქტონურ ახლოაღმოსავლურ ეთნიკურ ელემენტს, არამედ ისინი კავკასია-მცირე აზიიდან მოსული ტომია“. შემდეგ მკვლევარი უფრო აკონკრეტებს ამ აზრს და აღნიშნავს: „საქართველოს და კავკასიის ებრაელობა წარმოადგენს სხვადასხვა ქრონოლოგიურ პერიოდში, სხვადასხვა მიგრაციული ტალღების შედეგს, რაც ბირთვობრივად იუდაისტური სარწმუნოებრივი ეთნიკურობის ნიაღში მიმდინარეობდა. აქედან გამომდინარე, საქართველო-კავკასიის ებრაელობა იმთავითვე უნდა ყოფილიყო დიფერენცირებული ცალკეულ-კულტურულ-მენტალურ, თუ ფსიქიკურ ერთეულებად“.

### ქრონიკები

როდესაც საუბარია „ქართველ ებრაელთა განსხვავებულ მდგომარეობაზე“, უნდა გვახსოვდეს, რომ იგი შემთხვევითი და უნიადგო არ ყოფილა და ისტორიულად არაერთი ფაქტორით იყო განპირობებული. ალბათ, პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ ბაგრატიონთა დინასტიის ქართველი მეფენი თავიანთ თავს თვლიდნენ ებრაელი მეფესალმუნე დავით მეფისა და მისი ძის, სოლომონის შთამომავლებად. სიგელ-გუჯრებშიც ასე აღნიშნავდნენ: „შენეგნითა და ბრძანებითა ღმრთისათა ჩვენ-იესიან,დავითიან, სოლომონიან პანკრატონიანი“... ამბობენ, რომ ისინი დავითის, ნინასწარმეტყველისა და მეფის ნათესავები არიან და აქედან ყოველანდინდა ღვთისმშობლისაც, რადგან ესეც

დავითის თესლისაგან არის წარმოშობილი... რომ მათი გვარი იერუსალიმიდან არის „... ან კიდევ: როგორც თვითონ ამბობენ, იერუსალიმიდან შთამომავლობენ“... ამ სიტყვებში ამკარად გამოსაჭვივის ბაგრატიონთა გვარის გაღვთიურების ტენდენცია, მათი უპირატესობის აღიარება სხვა ქართველ თავად-ერისთავთა და მეზობელი ქვეყნების მეფეებთან შედარებით... „ქართლის ცხოვრების“ მემატიანის თქმით, ბაგრატიონთა საგვარეულოსათვის სათავე დაუდგია სოლომონ მეფის ერთ-ერთ ძეს, გუარამს, რომელსაც თავი დაუდევია ფილისტიმელთა ტყვეობიდან („ამას გუარამს მისცა კეისარმა კუროპალატობა, და წარმოგზავნა მცხეთას“)... სხვათაშორის, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის თავსარქველზეც ექვსქიმიანი „მაგენ-დავიდი“ — დავითის ფარია გამოსახული... ცხადია, ამგვარი შეგნება საქართველოს მკვიდრთ-ქართლოსიანებს პატივისცემით განაწყობდა ებრაელობისადმი. ზაქარია ჭიჭინაძეც აღნიშნავს: ქართველი ებრაელთა დიდ პატივს აგებდნენ: ყოველთვის ზნეობრივ მოვალედ თვლიდნენ თავიანთ თავს, რადგანაც ბაგრატიონები მათ შთამომავლად მიაჩნდათ.

აღსანიშნავია, რომ ქართული მატრიანები და თქმულებები განსაკუთრებულ როლს ანიჭებდნენ ქართველ იუდეველებს „ქართლის მოქცევაში“ - საქართველოს გაქრისტიანებაში. როგორც ითქვა, ქართლოსიანთა მიწაზე, კერძოდ მცხეთაში დამკვიდრებულ ებრაელებს მჭიდრო კავშირ-ურთიერთობა ჰქონდათ უფლის ქალაქთან, ამიტომ ბუნებრივია, აქაც უმაღლესი შეიჭვეს, რომ იერუსალიმში იკრიბებიან „მეცნიერნი რჯულისანი“, რათა განბჭონ საქმე კაცისა, „რომელ იტყვის თავისა თავს ძედ ღვთისა“, იქვე დაძრულან იერუსალიმისაკენ საქართველოს ებრაული თემის წარმომადგენლები, მათ შორის მცხეთელი ელიოზ და კარსნელი (კასინელი) ლონგინოზ და შესწრებიან იესო ნაზარეთელის, — ქართული ტრადიციით ნაზარეველის ჯვარცმას.

\* \* \*

უმცერება და შეუგნებლობა, ისევე, როგორც სილატაკე და ოდენ „პურის ჩვენი არსობისა“ მოპოვებისათვის ბრძოლა, ადამიანებში აჩლუნგებს სულიერებას და რელიგიურ გრძნობებს, უჩენს ნახირის მისწრაფებებს-იყოს ისეთი, როგორც ყველა და აღარც ეროვნულ ფასეულობათა მოფრთხილებას დაგიდევთ. ისიც ცნობილია, რომ თემის ეკონომიკურად დასუსტებისა და სულიერი დაქვეითების შემს უფრო ადვილია არაებრაელობა, ვიდრე ებრაელობა, ვიდრე ებრაელად დარჩენა. ასეთი ფამი კი არაერთხელ დადგომია ქართველ ებრაელობასაც. არცთუ ცოტა დოკუმენტითა თუ გადმოცემით დასტურდება, ქრისტიანულ სასულიერო-საგანმათლებლო კერებთან „დაახლოებული“ ეკლესია-მონასტრების ყმა ქართველი ებრაელები ძლიერ გავლენას განიცდიდნენ და ხშირად სარწმუნოებასაც იცვლიდნენ, ანუ ქრისტიანდებოდნენ. შემდეგ მათ „ურიაყოფილებს“ უწოდებდნენ ხოლმე, ვითარცა ყოფილ ებრაელებს...


მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის ქრონიკებში გვხვდება სამეფო კართან დაახლოებული სასულიერო პირი და მესტამბე, ვინმე აბრამ ურიაყოფილი, ან, როგორც 1784 წელს მის მიერ თბილისში დასტამბულ „სალმთო კურთხევანის“ მინაწერშია აღნიშნული, „სტამბის უხუცესობითა და დაზგის მმართველობითა კარის მღვდელი ულირსი აბრამ ურია-ყოფილი“. ამ კაცზე პირველმა მოიკვლია ცნობები სწავლულმა პლატონ იოსელიანმა. ზოგი მეცნიერის აზრით, თავად საკუთარი სახელი „აბრამი“ და- მეტადრე- ზედ ნოდებული ურიაყოფილი ამკარად მიგვანიშნებენ მის ებრაულ წარმომავლობაზე. იგი, თურმე ათანასე თბილელის სტამბაში მოღვაწეობდა, სადაც მისი მონაწილეობით რამდენიმე რელიგიური ნიბნი დაიბეჭდა, მათ შორის „სახარება“... საარქივო დოკუმენტების მონაცემებით, აბრამ ურიაყოფილს მაღალი საეკლესიო პოსტებიც ეკავა. აკადემიკოს გიორგი ჩუბინაშვილის თქმით, იგი გარეჯის იოანე ნათლისმცემლის მონასტრის წინამძღვარადაც დაუნიშნავთ. ზოგი მკვლევარის ვარაუდით კი, აბრამ ურიაყოფილი თან ახლდა მეფე თეიმურაზ მეორეს რუსეთში როგორც ელჩი. მეფის იქ გარდაცვალების შემდეგ, სხვა ქართველ კოლონისტებთან ერთად მოსკოვს დარჩენილა, თავი შეუფარებია ათანასე ამილახვირისათვის და მუშაობა დაუწყია „ჯვართამაღლების“ მონასტერთან არსებულ სტამბაში. სხვათაშორის, იქ დაბეჭდა მან დავითის ფსალმუნები. როგორც ჩანს, აბრამ ურიაყოფილი 1780-იან წლებში დაბრუნებულია საქართველოში. მეფე ერეკლე მეორეს რუსეთშილად მიუღია იგი, სასახლის ეკლესიის მღვდლად გაუმწესებია, პარალელურად კი მუშაობდა სამეფო სტამბაში „საბეჭდი დაზგის გამმართველად“. 1786 წელს აქ დაბეჭდა და გამოსცა მან ქართულ ენაზე „სახარება“. სიცოცხლის ბოლო წლები კი მარტყოფში გალია.

# პალესტინის დღიური

ირაკლი აბაშიძე

60 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც საქართველოს კულტურულ-სამეცნიერო ცხოვრებაში მოხდა მნიშვნელოვანი მოვლენა — გამოჩენილ ქართველ მეცნიერთა — აკადემიკოსების: გიორგი წერეთლის, აკაკი შანიძის და დიდებული ქართველი პოეტის ირაკლი აბაშიძის სამეცნიერო ექსპედიცია ისრაელში წარმატებით დაგვირგვინდა — იერუსალიმის ჯვრის მინასტერში მიგნებულ იქნა შოთა რუსთაველის პორტრეტი.

ისრაელში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის ლაშა ჟვანიას ინიციატივით, ეს თარიღი აღინიშნება. „მ“ რასაკვირველია, ეხმიანება ამ მნიშვნელოვან მოვლენას და გთავაზობთ ფრაგმენტებს ირაკლი აბაშიძის წიგნიდან „პალესტინის დღიური“, რომელიც 1961 წელს გამოვიდა და დღესაც ინტერესით იკითხება.



### 27 ოქტომბერი

დილაადრიადად, ჯერ კიდევ იერუსალიმის ძილში, შორიდან ისმის ზარების ბოხი ხმა. ისევ ცხელი დღე გათენდა. საამურად აჭიკჭიკდნენ ჩიტები. ქუჩებსა და ეზოებში აფრთხილდნენ აქაური გვრიტები, საქმეზე დაიძრა ხალხი. სკოლებისკენ დაიძრნენ მოსწავლეები. აირივინ ერთმანეთში ავტომანქანები. გუშინ, პრეზიდენტთან შეხვედრამდე, იერუსალიმიდან თელ-ავივს გავემგზავრეთ, ჩვენსსაელჩოში გამოსაცხადებლად. სამწუხაროდ, გზაზე ვოლკოვის მანქანა გაგვიფუჭდა და უკანვე დავერუხდით.

ამ დილით ავგუსტინეს მშვენიერი "შევროლე" მიგვაქროლებს თელ-ავივისკენ. გადახრურული ქედები, ველები და გორაკები. როგორ მოხდა, რომ ამ ყოვლად უნაყოფო მიწაზე მშვენიერი ნაყოფიერი ადგილი იპოვა ორმა უდიდესმა რელიგიამ: იუდეიზმმა და ქრისტიანისმმა? რელიგიებმა, რომელთაც შემდგომში მთელი კულტურული მსოფლიო მოიცავს? რატომ გადაიტყა ეს ხრიოკი მიწა წმინდა მინად, რომელსაც საუკუნეების განმავლობაში დაუზოგავად აკლავდნენ თავს სამი მსოფლიო რელიგიის უთვალავი არმიები?

რატომ გოდებდნენ ამ მიწიდან აყრილი ადამიანები ორი ათასი წლის განმავლობაში: "არ დავენებდები სიონისათვის და იერუსალიმისათვის არ მოვისვენებ". ან: "უკეთუ დაგივიწყო შენ, იერუსალიმი, დაგინყებულ იქნეს მარჯვენე ჩემი", ან: "მდინარეთა ზედა ბაბილონისათა მუნ დავესხედით და ვსტიროდეთ, ოდეს მოგიხსენეთ შენ, სიონ"...

ასე იფიქრებს ადამიანი დღეს, როცა ამ მიდამოებს გასცქერის. მაგრამ პალესტინა წინათ ზომ დიდებული ბუნებით იყო ცნობილი. უმდიდრესი ბალ-ვენახებით, ტყეების მასივებით, მწვანით მოსილი გორაკებით. საუკუნეებს ბევრი რამ მოუსპია ამ მიწაზე, გამოუქარავს თვითონ მიწაც და ნაყოფისათვის წვენი გაუშრია.

ჩვენი მანქანა მიქრის ჩრდილო-დასავლეთისკენ, თელ-ავივისკენ, მკვრივი გუდრონის გზით. ეს გზა იერუსალიმის ციტიადელის ცნობილი კედლიდან, იაფას კარებიდან გამოდის.

გაცხოველებით ამწვანებენ ისრაელის ხელმძღვანელები გზისპირეთის გორაკებსა და ხრიოკელებს. შემეტყვად ნაძვითა და აქაური ნიადაგისადმი უგულებული თავისებური მცენარეებით. წარმოუდგენელი კია, სანამ გაიზრდებოდნენ და თავისსავე სინესტეს შეინახავდნენ, რითი ისაზრდობენ ამ უწყლო მიწაზე ეს მცენარეები. სახელმწიფო, ეტყობა, უდიდეს თანხებს ხარჯავს გამწვანებაზე; აქა-იქ ხეხილის ბაღებიც ჩაუყრიათ ახლახან.

ახალი ნერგები შეშინებულეზივით გამოიციქრებიან.

რაც უფრო ვუახლოვდებით ზღვისპირის ზონას, მწვანე ფერი სულ უფრო მეტად და ამეტყვად იმარჯვებს. აქ უკვე სუბროპიკული კლიმატია.

ისრაელის მიწების უბედურება უწყლობაშია. აქ მთელი მიწებიდან მხოლოდ ერთი მეათედი ირწყვის, ხოლო დანარჩენის ბედი ღმერთს აბარია. ამიტომაცაა, რომ მარცვლეული კულტურის წარმოება აქ ძალზე სუსტად ყოფილა განვითარებული. ყველაზე მეტად პალესტინაში ციტრუსებს გაუხარიათ. უახლოვდებით ზღვისპირეთს და თქვენ თვალწინ გადაიშლება შესანიშნავად მოვლილი, მუხებით მაღალი ციტრუსების მწვანე პლანტაციები. სახელმწიფოს შემოსავალშიც ძირითადი ადგილი სოფლის მეურნეობიდან ციტრუსებს სჭერიათ.

როგორც გვითხრეს, მიწების დიდი უმეტესობა აქ მსხვილი ტრესტების ხელში ყოფილა, სადაც მცირე წილი როდი ჰქონია ინგლისურ და ამერიკულ კაპიტალს. ტრესტები იჯარით აძლევდნენ მიწას კაპიტალისტურ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებს და ცალკეულ პირებს.

ყოფილა ისრაელში სასოფლო-სამეურნეო არტელეებიც. მათ „კიბუცებს“ უწოდებენ. ჩვენ კი-

ბუცი არ გვინახავს. მაგრამ ჩვენ ხომ, საერთოდ, არ გავცნობივართ ისრაელის არც სამეურნეო და არც პოლიტიკურ ცხოვრებას; ამისთვის ჩვენ არც დრო გვქონდა და ჩვენს გეგმაში იგი არც შედიოდა. ჩვენი მიზანი კონკრეტული, სამეცნიერო ხასიათისა იყო და ვცდილობდით, რეგლამენტით მკაცრად შეზღუდული ჩვენი დრო, მაქსიმალურად მხოლოდ ჩვენს საქმეზე გამოგვეყენებინა. ასეც მოვახერხეთ.

მაგრამ, თუ მაინცდამაინც, ჩვენს დღიურებში შიგადაშიგ რასმე ჩავინერეთ, ისრაელის ცხოვრებიდან, ეს მხოლოდ თავისუფალ დროს, როცა ჩვენ საქმეს ამით არაფერი დააკლდება.

აგერ, ახლაც, მანქანაში აბა, რა საქმე გვაქვს, ჩავინეროთ ზოგი ძველი, ზოგი ახალი რამ ცნობა: ჩვენს მკითხველს, ალბათ მოეხსენება, რომ ებრაელთა ნაციის ბიბლიური მეთაურის იაკობის მეორე სახელი ისრაელი იყო, რომ აქედან წარმოდგა ებრაელთა სახელმწიფოს დღევანდელი სახელწოდებაც. ჩვენი საღმრთო სჯულიც ხომ ასწავლიდა ჩვენს წინაპრებს სკოლაში: „...იაკობის შთამომავლობა ძლიერ გამრავლდა და შეიქმნა დიდძალი ხალხი, რომელსაც დაერქვა ებრაელები ანუ ისრაელები“.

ახლანდელი ისრაელი 1948 წელს დაარსდა. იგი ხმელთაშუა ზღვის სანაპიროს, წინა აზიის მნიშვნელოვანი სახელმწიფოა. აქ ძირითადად ებრაელები ცხოვრობენ და ცოტაც არაბები. სახელმწიფოს დედაქალაქი 1950 წლიდან იერუსალიმია. ისრაელის მთავარი ქალაქებია თელ-ავივის და იერუსალიმის გარდა იაფა, ხაიფა. იერუსალიმში ახლა 200 ათასზე ცოტა მეტი მცხოვრებია.

ამასობაში ჩვენ გავიარეთ რამლა, ეს ზღვისპირეთის პატარა ქალაქი და უკვე თელ-ავივს მივუახლოვდით.

შევედით ციტრუსების დიდებულ პლანტაციებში.

თელ-ავივი სრულიად ახალი ქალაქია. ეტყობა, იგი ელვის სისწრაფით იზრდება. შენობების არქიტექტურა ზღვისპირის კურორტის შესაფერია. სამოთხე სართულიანი ერთი ზომის თეთრი სახლები, წინ მზის საჩრდილებელი ფართო ტილოებით აფრებიან თეთრ ხომალდებსა ჰგვანან; ქალაქი კარგადაა გამწვანებული ბაღებითა და სკვერებით. მაღაზიები... სავაჭროები... მაღაზიები... სავაჭროები... ბურჟუაზიულ ქვეყნებში ყველგან ბევრი მინახავს, მაგრამ ამდენი მაღაზია და სავაჭრო-არსად. მუშტარი აქაც ნაკლებადაა.

საბჭოთა საელჩოში გამოცხადებისა და საუბრის შემდეგ ჩვენ შევევიართ ერთს მაღაზიაში. რასაკვირველია, ვლაპარაკობთ ქართულად; უცებ მაღაზიის პატრონი, ახალგაზრდა კაცი, გვიახლოვდება და გახარებული ქართულადვე გვეკითხება

- თქვენ ქართული იცით?

- ვიცით, - უბნება აკადემიკოსი აკაკი შანიძე არონ ბაღდადიშვილი აქ დაბადებულა, პალესტინაში. მამამისი რევოლუციამდე წამოსულა აქეთ საქართველოდან. იგი აგერ ახლახან გარდაცვლილა და ქართული ენის კარგი მცოდნე ყოფილა. ებრაელთა ქი არა სცოდნია. დედაჩემი ახლაც ნატრულობს ხრამულსაო, ამბობს არონი. აგერ მისი ახალგაზრდა დაც და ბიძაშვილიც მოგვიახლოვნენ. ესენი უფრო დამტვრეულად ლაპარაკობენ ქართულს; ხოლო, თუ ყველა მათგანი მაინც ქართველ ებრაელთა თავისებურ კილოზე უქცევს, სავსებით წმინდა იმერული, ქუთათური ქართულით გვესაუბრება ისრაელ რიჟინაშვილი, სამოცდახუთიოდე წლის კაცი, რომელიც საქართველოდან ამ ორმოციოდე წლის წინ წამოსულა. ისრაელ რიჟინაშვილს, ბუნებრივია, არონ ბაღდადიშვილზე მეტად აინტერესებს საქართველოს ამბები. ბევრი ძველი ნაცნობი და ბევრი ძველი ამბავი მოიგონა. ბევრი საერთო ნაცნობი აღმოგვაჩნდა ჩვენ და ისრაელ რიჟინაშვილს.

თვითონ რიჟინაშვილი, ეტყობა, ხელმოკლედ ცხოვრობს და, საერთოდ, როგორც ესენი ამბობენ, ქართველ ებრაელებს პალესტინაში ბედი არ უღიმით. მართალიც იქნება, აქ პალესტინაში დღეს თავმოყრილია კომერციული მსოფლიოს გამოქნი-

ლი, გამოქეცილი სვავეები; აბა, შეებით და გაუნიეთ მათ კონკურენცია!

ხელმოკლედ ცხოვრობენ, უჭირთ ქართველ ებრაელებს ციციანაშვილებს, გორელიშვილებს, ელ-იგულაშვილებს, ბალუაშვილებს, აპრიამაშვილებს, ჯანაშვილებს... დედაშვილებს... მათ რაღაც თავისი გაერთიანებაც კი შეუქმნიათ აქ, ქართველ ებრაელთა გენერალური კომიტეტი, მაგრამ ეს საქმეს შევლის?

აქვე, დღევანდელი დღის დღიურში, მინდა გადმოვიტანო, ამ მხვრივ დამახასიათებელი ეპიზოდი, რომელიც შემდეგში შეგვემთხვა:

სიცხიან ნაშუალამეს, მიძინებული იერუსალიმის მთავარ ქუჩაზე, იაფას ქუჩაზე, დავსეირნობდით მე და აკადემიკოსი გიორგი წერეთელი. ერთი მოხუცი მათხოვარი აგვედევნა, მოგვდევს და ებრაულად რაღაცას გვეუბნებდა. მე ისე, გართობის მიზნით, ვიმოვებურობდი და ქართულად ვუთხებდი: - „კაცო, ვინა ხარ, რასა გვთხოვ მეთქი?“ „ფული მინდა, ფული მინდაო“, ებრაული ქართულიკილოთი სხაპაისხუპით მომაცარა გამოცოცხლებულმა მოხუცმა.

შალომ პაპისიმედაშვილი, სტამბოლელი, ქართველი „გურჯი“ ებრაელი ყოფილა. იგი სასტიკად ემღერის ისრაელის საგადასახადო სისტემას. „მე რომ სხვა ქვეყანაში მოვხდებ, ჩემისთანა პროპაგანდისტი ამ სისტემის წინააღმდეგ სხვა არ იქნებო. გამწმინდეს, გამაკოტრეს; ეს ისეთი რამ არის - ათასი რომ გქონდეს, ასზე დაგიყვანებენ, ასი რომ გქონდეს, ათზედაო“. შალომს ოდესღაც ორი სანვრილმანო სავაჭრო დუქანი ჰქონია, ვერ გაუძლია გადასახადებისა და კონკურენციისათვის და აგერ, ახლა ხურდა ფულების სამათხოვროდ გამოსულა იერუსალიმის ქუჩებში. ჩვენც ვაჩუქეთ ცოტა. „სხვის რუქებსა შესს გურჯს არუქო, არ გირჩევიანო?“ - გვეუბნება შალომი.

მერე კი ყოველ საღამოს ჩასაფრებული გვყავდა შალომ პაპისიმედაშვილი იაფას ქუჩის თავში. საცოდავი რადიკულიტს ისე მოეშალა, ყოველი ნაბიჯის გადადგმისათვის ძირს დავარდებოდა გვეგონა. ერთის კვნესითა და ვაივიმით მოგვეყვებოდა უკან. მოგვეყვებოდა და წყევლიდა თავის დღესა და გაჩენას.

ეტყობა, მეტად მძიმე ტვირთად აწევს ისრაელის სახელმწიფოს იორდანისთან საომარი მდგომარეობის ასეთი გაუთავებელი, ხანგრძლივი ტვირთი. დიდი გადასახადები, დიდი შეზღუდვები; ამის გამო ზღაპრული სიძვირეა სახელმწიფოში. ეს ჩვენ, ჩვენდა სამწუხაროდ, ჩასვლისთანავე, სასტუმროშივე ვიგრძენით.

თელ-ავივიდან გვიან დავბრუნდით იერუსალიმს. ქალაქს მაინცდამაინც არ ამშვენებენ დიდი რეკლამები.

### 15 იანვარი

...ბერძენთა პატრიარქის ბენედიქტეს წინაშე პირველი წარსდგა აკადემიკოსი აკაკი შანიძე. მან პატრიარქს გადასცა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ფერემ მეორის მშვენივრად, მხატვრულად გაფორმებული წერილი, სადაც საქართველოს ეკლესიის მეთაური გულისით და სულით მოიკითხავს ბერძენ კოლეგას, უსურვებს მას ხანგრძლივ სიცოცხლეს და თხოვს დახამარება აღმოუჩინოს ქართველ საზოგადო მოღვაწეებს მათს კეთილშობილურ საქმეში: მიაგნონ და შეისწავლონ საქართველოს გენიოსი პოეტის, მე-12 საუკუნის დიდი მოაზროვნის შოთა რუსთაველის ცხოვრებასთან დაკავშირებული მასალები იერუსალიმის ჯვარის მონასტერში, რომელიც ამჟამად მისი, საბერძენეთის იერუსალიმელი პატრიარქის კუთვნილებაა.

ჩვენდა სამწუხაროდ და გასაოცრად, რუსთაველის გვარმა პატრიარქზე არავითარი მთაბეჭდილება არ მოახდინა, მისი კოლეგის მთელი ეს წერილიც მან როგორღაც ცივად, უგულოდ გადაიკითხა და შემდეგ შეკითხვით მოგვიბრუნდა, კონკრეტულად მე რასა მთხოვთო.

ახლა ლაპარაკი უშუალოდ ინგლისურ ენაზე გაიმართა პატრიარქსა და აკადემიკოს გიორგი წერეთელს შორის.

- ნაწილობრივი არქეოლოგიური გათხრები? არა, მე არ მოგცემთ ამის უფლებას; პალესტინის, იერუსალიმის მინა ნმინდა მინაა.

- ჯვარის მონასტრის კედლების განმენდა? - არა და არა, არც ამის უფლებას მოგცემთ.

- ძველი ქართული ხელნაწერების გაცნობა, ხელნაწერებისა, რომლებიც როგორც თქვენ ამბობთ, ჩემს საპატრიარქო ბიბლიოთეკაში ინახება იორდანიაში? - ამის უფლებას იორდანის მეფე არ მოგცემთ. თუ გსურთ, ჩამოდით იორდანიაში და იქ ვნახოთ.

- კი, მაგრამ, ხომ შეიძლება ორიოდე დღით გვათხოვოთ ჩვენი ძველი ხელნაწერები, ისე, როგორც ჩვენ საბჭოთა კავშირიდან თვეობით ვუგზავნი ხოლმე უცხოელ მეცნიერებს მათთვის საინტერესო ხელნაწერებს პარიზში, ლონდონში, ამერიკაში, სამუშაოდ, შესასწავლად. ანდა, თავად თქვენც ხომ ათხოვთ ჩვენი ქართული ხელნაწერები ამ რამდენიმე წლის წინ ამერიკელ მეცნიერ კლარკს და მიეცით საშუალება გადაეღო მათი ფოტოპირები, მიკროფილმები და წაეღო თავის ქვეყანაში? - აქ პატრიარქი ბენედიქტე პასუხობს:

- ეს ტიმოთემ დართო ნება ამერიკელს, ტიმოთემ რომელიც ჩემამდე იყო იერუსალიმის პატრიარქად, მე რომ ვყოფილიყავ, ამაზე არასგზით არ დავთანხმდებოდი.

კარგად გაახსენდა შემდეგ ამ შემთხვევის გამო აკადემიკოს გიორგი წერეთლის იეზუიტების სიტყვები: „ნუ ემსგავსებით გოდორს, აღსავსესა ნივთებითა“.

ერთი სიტყვით, ბერძენმა პატრიარქმა ბენედიქტე მეორემ ყველაფერზე უარი გვითხრა. ჩვენ შევცქეროდით ერთმანეთის მღვდელარე სახეებს ჩვენბურის თავშეკავებით. შევცქეროდით ბერძენების პატრიარქს, რომელიც თავის მხრივ ვიცე-კონსულს მისჩერებოდა; - აგე, ნახე, როგორ კარგად ვპასუხობო.

ჩვენს შეკითხვაზე: გინახავთ თქვენ რა მდგომარეობაშია დღეს ჯვარის მონასტერი-თქო? პატრიარქი უცებ ნამოდგა; წვიდით ვნახოთ ერთი, ეგ რა მონასტერიაო. პირველად განიზრახა იმ მონასტრის ნახვა, რომლის ქირადაც ამას წინათ დიდი თანხა მიიღო საბერძენეთის ეკლესიამ ისრაელის სამხედრო უწყებიდან.

ბოროტი ენები ამბობენ, ბერძენების იერუსალიმელი პატრიარქი მონასტერს ჰყიდის კიდევ, მაგრამ მყიდველთან ფასში ვერ მორიგებულაო.

ჩაისხა თავისი მღვდლები ვასილი და ქრისანთი პატრიარქმა თავის მანქანაში, რომელიც მისთვის აგერ ამ დღეებში იორდანის მეფე ჰუსეინს უჩუქნია და მონასტრისაკენ დაიძრა.

ჩავსხდით ჩვენც ჩვენს მანქანაში და გავყევით. მივედით მონასტერში.

გაილო კარები და ჰოი, საკვირველებავ, საბერძენეთის სამღვდლოების ეს უზენაესი პირები მონასტერში ისე შევიდნენ, პირჯვარი არ გადაუწერიათ, თითქოს ეს ქრისტიანული სამლოცველო ყო არა, არამედ მიზგიბი, ან სინაგოგა ყოფილიყოს. და შევიდნენ ისე აბრიალებული თვალებით, კაცს ეგონებოდა, მონასტერში კი არა, ვილაც სისხლის სამართლის დამნაშავეს ოჯახში „ობისკზე“ მოვიდნენო.

პირდაპირ სალუბავგადასმულ, ნაშლილ, წარყვნილ ფრესკებსა და წარწერებთან მივიყვანეთ; თვალი აარიდა და სხვა მხარეს გაიხედა. ახლა იქეთაც იმ მხარისკენაც მივუთითეთ ნაშლილ ფრესკებსა და წარწერებზე, მასაც თვალი აარიდა: ეს მონასტრის შემკეთებელი ხელოსნების, მუშების ბრაღია, მათ რა იციან რასა ჩადიანო. ამ პატრიარქს ამჟამად აღარ გახსენებია თურქებისათვის დაებრალეზინა ყელაფერი.

ისევ გავუმეორეთ ჩვენი სამი თხოვნა. ისევ კატეგორიული უარი ჩვენს სამთავე თხოვნაზე. - ფოტოსურათები გადაიღეთ, ამის ნებას გრთავთ, კედლებს კი ხელი არ ახლოთო. შემდეგ იქვე მდგომ მონასტრის ბერძენ ბერებს მიუბრუნდა და ნანადადება მისცა, ფოტოსურათების გადაღების დროს ამათ არ მოშორდეთო.

ქსანტოპულოსი ვიროთხასავით შეძვრა საკურთხველში. ტრაპეზის ძირში, იქ სადაც ქრისტეს ჯვრის ლეგენდარული ხის ძირია, ფარულად ღრმად გამოკვეთილ ქვაში მოთავსებული იყო ვერცხლის ყუთი, რომელშიდაც დიდი ოქროს ჯვარი იდო, ძვირფასი თვალ-მარგალიტით მოოჭვილი. ეს ჯვარი 1643 წელს შეუწირავს მონასტრისათვის ლევან დადიანის დავლებით ჯვარის მამას ნიკიფორე ჩოლოყაშვილს. ქსანტოპულოსიც იქ მივიდა და თავისთან მიიხმო პატრიარქის თანმხლები არქიმანდრიტები ქრისანთი და ვასილი.

სხვათა შორის, ეს ჯვარი და მასზე ქართული წარწერა აღწერილი და შესწავლილი არა აქვს არც ცაგარელს და არც სხვა ქართველ მოგზაურთ. ეტყობა, იგი ჩვენამდე ცნობილი არ იყო.

და უცებ არქიმანდრიტ ქრისანთის ხელში გაი-

ვლვა ამ უნიკალურმა ვერცხლის ყუთმა ქართული წარწერებით, ძვირფასი თვლებით მოჭედვილი ოქროს ჯვარმა. არქიმანდრიტის თვალები ელაგდნენ მტაცებლის თვალთა ელვარებით. ჩვენ დაბეჯითებით მოვიტხოვეთ, არ წაეღოთ ადგილიდან ეს ჯვარი, რომელიც ჯერ მეცნიერულად შესწავლილი არაა; ეს მათ სასაცილოდაც კი არ ეყოთ. ჩვენ ვეუბნებით: ეს ჯვარიც და თვითონ ჯვარის მონასტერიც ახლა ხომ თქვენს ხელშია, ჩვენს თვალწინ ნუ ჩაიდნთ ასეთ საქციელს, ნაიღეთ ხვალ ან ზეგ, როცა ჩვენ აქ არ ვიქნებით. არც ეს ეყოთ სასაცილოთ, ყურიც კი არ გვათხოვეს. განსაკუთრებული მტაცებლური, არაადამიანური თვისებები გამოამჟღავნა არქიმანდრიტმა ქრისანთმა, სისხლი აუვარდა თვალებში და გაპრიალებულ ლოყებში.

ეს არქიმანდრიტი წონით დაახლოებით 160 კილო იქნებოდა.

მშვენივრად უწოდა შემდეგ აკადემიკოსმა აკაკი



შანიძემ ამ არქიმანდრიტს: „არქიბანდიტი“.

მოიტაცეს ძვირფასი, ხელოვნების უნიკალური ნაწარმოები, დღემდე უცნობი ქართული წარწერით და სწრაფად ჩახსდნენ მანქანაში.

გავყევით ჩვენც უკან.

შეჩერდნენ ბერძენების საკონსულოს წინ.

შეჩერდით ჩვენც და ჩამოვხტით მანქანიდან.

ისევ დაბეჯითებით ვთხოვეთ ამ უნიკალური ნაწარმოების ფოტოგრაფიული სურათის გადაღების ნებართვა მაინც.

პატრიარქი მოგვაჩერდა ყოვლად გამოციებული, უსაქმური კაცის ცარიელი თვალებით, მერე ოდნავ თითქოს გაეღიმა და გონებით გაკოტრებული, მაგრამ მაინც დიდკაცური ქედმაღლებით გადმოგვხედა.

სახელაღნიღები, უსაზღვროდ შეფარული მღვდელარებით იდგნენ მის წინ ჩვენი გამოჩენილი მეცნიერები.

ჩემს თვალწინ იდგა ორი ქვეყანა კი არა ორი ეპოქა - ეპოქა მეცნიერებისა, ჩვენი დიად აღმოჩენათა ეპოქა, მეოცე საუკუნე თავისი შესანიშნავი წარმომადგენლებით, რომელთაც მსოფლიო სახელი მოუხვეჭათ, მეორე მხრივ კი - უვიცობის ეპოქა, შავი, მართლაც შავი სამღვდლოების წარმომადგენელი, მაგრამ ეს რომელი ეპოქაა? თუ ეს ეპოქების ნამუშრევია? დღეს საოცარ ანაქრონიზმად ქცეული; ეს რამდენიმე ხნის წინ გადაწყდა კულტურულ სამყაროში ბრძოლა სამღვდლოებასა და მეცნიერებს შორის, მაშ რატომ უდა მეორედგდეს დღესაც ის ძველი ბრძოლის რეციდივები ჩვენს განათლებულ მეოცე საუკუნეში?

მერე, როცა ზედმეტი აღუვლავა შეგვატყვეს, არქიმანდრიტმა ქრისანთმა გადმოგვცა მაღალი, მონყალე სიტყვა ბერძენთა პატრიარქისა: - ხვალ დილით აქ, საკონსულოში მოდით, ეს ჯვარი აქ იქნება და გადაიღეთ ფოტოსურათითო.

მე აქ ერთი დღით წინ წავუსწრებ ჩემს დღიურებს: ხვალ დილით საკონსულოში მისვლისას ჩვენ გვაცნობეს: ბერძენთა პატრიარქი ნუხელ წავიდა ქალაქიდან და თქვენი ქართული ჯვარი თან წაიღოო (კიდევ კარგი, რომ იმ ქართული წარწერის გადაღება მაინც შეიძლებოდა ჩვენამდე მეცნიერებმა).

ვინ იცის, სად გაიყვანა უბრალო ოქროდ უძველესი, უნიკალური ნიმუში სახელგანთქმული ქართული ოქრომჭედლობისა!

უკვე დრო არის და, ახლა კი არა, რამდენი ხა-

ნია დრო არის, შეიქმნას სიძველეთა დაცვის რაიონ საერთაშორისო ორგანიზაცია, რალაც, თუნდაც ნითელი ჯვრის მსგავსი, რომელიც დაცავს მთელ მსოფლიოში კულტურის უნიკალურ სიძველეებს, რომლის განკარგულებითაც ეს ისტორიული სიძველენი გადავლენ სერიოზულ, განათლებულ ადამიანთა, საზოგადო მოღვაწეთა, მეცნიერთა ხელში, უმეცარ, არასერიოზულ არქიმანდრიტთა ხელიდან. უკეთეს ანტირელიგიურ კამპანიას ვერავინ ვერსად ჩაატარებდა ასე დამაჯერებლად, როგორც ეს საბერძენეთის იერუსალიმელი საპატრიარქოს სულიერმა მამებმა ჩვენს თვალწინ ჩაატარეს.

აქვე უნდა ვთქვათ, ბერძენთა სამღვდლოების წარმომადგენელთა ამ უპრეცედენტო უხამსობამ, ყაჩაღობამ, ჩვენთან ერთად უზომოდ აღაშფოთა რუსეთის მართმადიდებელი ეკლესიის პალესტინის მისიის ხელმძღვანელი ავგუსტინეც. ყოველმხრივ იმედგაცრუებულნი დავრჩით.

### 6 ნოემბერი

კვირაა. ჯერ კიდევ მთვარით გაქათქათებულ ღამეში გავკვდივითა..

რა გრძელი დილაა! აღრიანად მივდივართ საქმეზე. მონასტრის კარებს გვიღებს ბიკენტიუსი, დღეს მისი უქმე დღეა.

ვეკვებით რუსთველის შავ საღებავს ახალი საშუალებებით, რომლითაც დღეს უკვე აღჭურვილები ვართ ფრესკების წმენდის სპეციალისტებისგან.

გამოდის, გამოდის... მოჰკიდა ხელი შავ სუდარას, ქიმიურად შლის, ნელ-ნელა ძღვევს, სულ უფრო და უფრო ინმინდება რუსთველის ნითელი ტანსაცმელი, მაგონდება სტრიქონები: „გაძრცვილსა ტანსა ემოსნეს ყურყუმნი უსაპირონი“... მივყვებით მალლა, სულ მალლა, გამოჩნდა თეთრი წვერი. ერთმანეთს ვენაცვლებით, ვლეღავთ, ვფუსფუსებთ. სიხარულისგან ვკრითით. სახეს რომ მივუახლოვდით, ვცდილობთ ზედმეტად ძალა არ დავატანოთ მარჯვენას, ერთმანეთს ვაფრთხილებთ, აღერსივით მსუბუქად ვწმენდთ. გვემინია თვით რუსთველის პორტრეტზეც არ ვიმოქმედოთ. სასწაულია, რუსთველის სურათის ფერებს არაფერი ეკარება, თუ რუსთველის სურათის ფერები არ იკარებენ არაფერს, სურათი ინმინდება და ანათებს ისე, როგორც ოდესღაც უნათებია.

### ნაშუადღევი, 6 ნოემბერი.

ვაშა, გამოჩნდა, გამოჩნდა დიდებული სახე ბრძენი მოხუცისა. ამაყი, მაგრამ ღრმად კაეშნიანი... თითქოს ნაცნობი სახე, საოცრად ნაცნობი სახე

მთელ სვეტზე აღმართული წმინდანების: იოანე დამასკელისა და მაქსიმე აღმსარებლის ფერხთა შორის დგას იგი, ხელაპყრობილი.

„ამისა დამხატავსა შოთას შეუნდევს ღმერთმან ამინ“. ხოლო ქვემოთ პორტრეტზე „რუ-სთვლი“. თეთრად გამოანათა მსხვილმა ქართულმა ასომთავრულმა.

„ჯვარის მონასტერი დაძველებულა და გუმბათს ქვით სვეტნი გაუახლებია და დაუხატვინებია მთქმელსა ლექსთა ბოროტთასა, რომელმაც ასწავა ქართველთა სინმინდისა წილ ბილწება და განყრენა ქრისტიანობა... შოთას ვიტყვი რუსთაველსა, მეჭურჭლეთ უხუცესს თითონაც შიგ ხატია მოხუცებული“.

აგერ „ბოროტთა ლექსთა მთქმელთა შოთა რუსთველი მეჭურჭლეთუხუცესი“... როგორც ტიმოთე გაბაშვილი ამბობდა.

ჩვენ გადავხევეთ ერთმანეთს. რა დიდებული მხატვრობაა.

ვოლოკვი თავისი ავტომანქანით გაფრინდა ბერძენთაგან. ბერძენთაგან, რადგან დროზე არ მივაკითხეთ, შინ არ დაგვხვდა, რუსთველის სურათს ხვალ გადავიღებთ, ახლა უკვე ნამდვილ, განმენდილ, აღდგენილ ფერად სურათს. ნამდვილ ფერად სურათს, რა დიდებულია!...

### შისწორება

„მ“ ნინა, მე-11-ე ნომერში გაიპარა შეცდომა: მასალაში „მნიშვნელოვანი შეთანხმება“ (გაზეთის პირველი გვერდი) კორექტირებისას ამოვარდა შემდეგი აბზაცი: „საყურადღებოა, რომ მსგავსი შეთანხმება ჩვენს ორ ქვეყანას შორის შედგა პირველად და პროცესში ჩართული იქნებიან და მორიტორინგს გაუწევენ ორივე ქვეყნის მთავრობის შესაბამისი ორგანოები, მათ შორის ჯანდაცვის სამინისტრო, რაც ქმნის იმის გარანტიას, რომ ისრავლში დროებით დასაქმებული საქართველოს მოქალაქეების უფლებები სათანადოდ იქნება დაცული. ამას უზრუნველყოფს ისიც, რომ მთელი პროცესი განხორციელდება შუამავლებსა, თუ კერძო სექტორის მონაწილეობის გარეშე.“ შემდეგ როგორც ტექსტშია.

# „მე 19–20 საუკუნეების ებრაელი მეცნიერები საქართველოდან“

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „მ“ №11)

**მისილი ხან ხანი (ხუნ-აშვილი)** (1946) საქართველოს პოლიტიკური ინსტიტუტის კურსდამთავრებული-არიელის უნივერსიტეტის პროფესორი, ჩაირიცხა მოსკოვის ავტოსაგზაო ინსტიტუტის ასპირანტურაში. საკანდიდატო დისერტაცია კიევში დაიცვა, შემდეგ თბილისში მშობლიურ ინსტიტუტში ბრუნდება, სადაც გაიზარდა მეცნიერ მუშაკიდან პროფესორამდე. სადოქტორო დისერტაციამ თემაზე: „მოძრაობის უსაფრთხოების ადაპტური სისტემა“ სამეცნიერო საბჭოს უმაღლესი შეფასება დაიმსახურა. 57 წლის ასაკში ოჯახით ამოდის ისრაელში. პროფესორ მოსე დანიელოვის მეშვეობით და რეკომენდაციით მიღებული იქნა არიელის უნივერსიტეტში, შესთავაზეს ლექციების ციკლი „ავტომობილის დინამიკაში“. ამჟამად ასნავლის დინამიკას, საიმედოების თეორიას, სტრანსპორტო სისტემებს და გზების დაპროექტებას. სადიპლომო ნაშრომების ხელმძღვანელია, 65 სამეცნიერო ნაშრომის, 14 გრანტის ავტორი გახლავთ, მრავალი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მონაწილე და მომხსენებელი. მისი ხელმძღვანელობით, სტუდენტებმა უახლესი ტიპის ტრაქტორი წარადგინეს აშშ-ი გამართული ტექნიკური ნოვაციების მსოფლიო პირველობაზე. ისრაელში შექმნილმა მოდელმა ნომინაციაში „ნაკლებ ხმაურიანი“ პირველი ადგილი დაიმსახურა. აღსანიშნავია, რომ არიელის უნივერსიტეტის ისტორიაში, ასეთ ფორუმში მონაწილეობა პირველი გახლდათ. ენერგიული მეცნიერი თავის ბეჯით სტუდენტებთან ერთად მუშაობს გაუმჯობესებული ტრაქტორისა და „ავტონომიური“ ავტომობილის, მძღოლის გარეშე (შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის) შექმნაზე. პროფესორი

მიხეილ ბენ ხანი არის არიელის უნივერსიტეტის ბიომექანიკის ცენტრის ტრანსპორტის ლაბორატორიის დამფუძნებელი და ძირითადი, წამყვანი მკვლევარი. მრავალი ლექსის ავტორიც გახლავთ, ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს აღნიშნავდნენ პრესაში, რომ „მიხეილი საუკეთესო პოეტია ინჟინერებს შორის და საუკეთესო ინჟინერია პოეტებს შორის“.

**რაფაელ ჩიკვაშვილი** - მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტში, 1972 წ. დაიცვა დისერტაცია „რეკურსიული ფუნქციების ეფექტურობა“ და მიენიჭა PhD წოდება. ი.ჯავახიშვილის სახელობის თსუ, მათემატიკის ფაკულტეტის (1969 წ.) კურსდამთავრებული, 1972 წლიდან, მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაუფლა მათემატიკურ ლოგისტიკას. 1972-74 წ.წ. თბილისში ბრუნდება, გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტში, მეცნიერ-მუშაკის შტატში. 1973 წ. თსუ ლექტორი მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე. 1976 წ. ემიგრაცია საქართველოდან აშშ-ში. 1976-87 წ.წ. IBM კომპანიაში მსახურობდა. 1979-82 წ.წ. - ასოცირებული პროფესორი ჯორჯ ვაშინგტონის სახ. უნივერსიტეტში - კომპიუტერული მეცნიერება. დაარსა 1993-2013 წ. სტარტაპი სამედიცინო დიაგნოსტიკაში ქალაქ ბალტიმორში, მირელენდის შტატი. გარდა სამეცნიერო კვლევებისა, ფართოდ გახლდათ ჩაბმული საზოგადოებრივ საქმიანობაში: HIAS International-დირექტორთა საბჭოს წევრი (1995-2008); ამერიკის კონგრესში ჯანმრთელობის საკითხებში მრჩეველთა კომიტეტის წევრი (2001-2005).

**შაგი ენუაშვილი** - თსუ, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი, უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი. განათლება მიიღო თბილისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში (ქუთაისის ფილ-

იალი) ქიმიკოს-ტექნოლოგი (1975) სპეციალიზაციით. მონაწილეობდა სამეცნიერო პროექტებში: (2012 - 2015 წ.წ.) დამუშავებას სპეციალური მინარევებით ლეგირებული IV-VI ნახევარ გამტარული ფენების დაზეკრიტიკული სტრუქტურების შექმნა ნაციონალური ავიაციის აკადემია (აზერბაიჯანი). (2009 - 2011)

მინარევების ახალი როლი IV-VI ნახევარგამტარებში ინფრანითელი ლაზერების მახასიათებლების გასაუმჯობესებლად შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი.

(2007 - 2009) დილექტრი კულიმდგომარეობის შექმნა ვინროზონიან IV-VI ნახევარგამტარებში ustc (აშშ). საერთაშორისო კონფერენციებზე წარმოდგენილი ჰქონდა კვლევის მასალები, რამაც მაღალი შეფასება დაიმსახურა, მათ შორის გამოყოფილი 2014 წ. სამხრეთ კორეაში გამართული ფორუმი „პერსპექტიული მასალები, სტრუქტურები და მექანიკური თვისებები: ტყვია სელენიდის ნანოფენების ოპტიკური თვისებები“.

**დანიელ ლავი (ლავიაშვილი)** - ეკონომიკის პროფესორი, ბარ-ილანის უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის განყოფილების გამგე. 1982 წ. ბენ გურიონის უნივერსიტეტის, ეკონომიკის ფაკულტეტის კურსდამთავრებული, 1990 წ. მაგისტრატურა აშშ, ირვინში დაასრულა. სადოქტორო ხარისხი დაიცვა თემაზე: „სამი ესეე დინამიურ მაკროეკონომიკაში“. 2002 წელს ბრუნდება ისრაელში. ამერიკისა და საქართველოს საპატიო მინვეული პროფესორი. 2012 წლიდან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ატარებს ლექციებს და უზიარებს ცოდნასა და გამოცდილებას მაკროეკონომიკის საკითხებში. თვლის, რომ ISET ქმედითი, მნიშვნელოვანი, დასავლეთის დონეზე, უნივერსიტეტი, სადაც ინგლისურ ენაზე



ასნავლიან თანამედროვე ეკონომიურ მეცნიერებებს. კვლევის საგნის აქტუალობიდან გამომდინარე, მსოფლიო ბანკების მრჩეველია, მრავალი აკადემიური გამოცემის რედაქტორი და სტუდენტთა პროექტების ხელმძღვანელი. სარედაქციო კოლეგიის „მენეჯმენტი და გადაწყვეტილებათა ეკონომიკა“ წევრი 2002 წლიდან. კანზას სიტის, გერმანიის, ბელგიის, ევროპის ცენტრალური ბანკების მონეტარული პოლიტიკის კვლევის განყოფილების მინვეული კონსულტანტი. მოპოვებული აქვს მრავალი პრესტიჟული და სოლიდური გრანტი. გახლავთ მე-2 და მე-3 სამეცნიერო ხარისხის მაძიებელ სტუდენტთა სამეცნიერო ხელმძღვანელი. მსოფლიოს მრავალი ქვეყნის ფონდების, დაწესებულებების და გამოცემათა რეფერენტი. გამოქვეყნებული პერიოდულ ჟურნალებში და წიგნებში, სპეციალურ გამოცემებში და სტატიებში კვლევის შედეგები იმდენად დიდია, რომ გაზეთის ფორმატს არ შეესაბამება. ხშირად მონაწილეობს საერთაშორისო კონფერენციებში და ეკონომიკურ ასოციაციებში მრჩეველთა პრეზენტაციებში.

(გაგრძელება იქნება)

**ჩვენ მზია**

გ ა მ ო რ ჩ ე უ ლ ა დ კეთილი, სათნოებითა და დიდი შინაგანი სინმინდის ქალბატონი გაეცალა ნუთისოფელს.

მზია — საქართველოში კარგად ცნობილი ამირან მიხელაშვილის შვილი, მეუღლე — თბილისის ებრაელობის ეროვნულ-რელიგიური ღირსების დასტური პიროვნების ნუგზარ აჯიაშვილისა.

ნ უ თ ი ს ო ფ ე ლ მ ა ბევრი სიმწარე აგემა ჩვენთვის ძვირფასსა და საყვარელ მზიას: გამოაცალა დედა — ცხადია, დღეთა და თაობათა სრბოლის ამ კანონზომიერებას ვერავინ გაექცევა: მშობლები მიდიან, შვილები რჩებიან, რათა ხანგრძლივყო მშობელთა მინიერი ყოფა და ხსოვნის სანთლის შუქი არ მოაკლონ მათ, მაგრამ როცა შვილი მიდის და დედა ფრთამოტეხილი — სახით ადრინდელით, სულში სიმწარემორეული, არსებულისა და არარსებულის ზღვარზე გასული დააბიჯებს დედამი-

წაზე, ეს უკვე თაობათა ცვალებადობის ანომალიაა. არც ეს ანომალია დაჰკლებია ჩვენთვის ერთობ ძვირფას მზიას შვილი — მიხეილი, მიშკა — მუდამ მომღიმარი, ალერსიანი, ახლადშექმნილი ოჯახით ბედნიერი მოულოდნელად გაეცალა ნუთისოფელს. დილას შინიდან გავიდა და შუადღეს იმქვეყნად წასული მოუბრუნეს მშობლებსა და მეუღლეს.

და ასევე მომღიმარი — სისარულის გამავრცელებელი, ნათესავ-მეგობართა მოყვარული ძმა — ლევი-ლოვა მიხელაშვილი.

შავი ბედისწერა ფეხდაფეხ დასდევდა ამ კეთილშობილი სულის ადამიანს — მზია მიხელაშვილს-აჯიაშვილისას — შემოეცალა ის, ვისაც დასაყრდენად მიიჩნევდა — შემოეცალნენ საფიცარი ადამიანები, ალბათ, ამიტომაც ცხოვრობდა დუმილის სამყაროში, უხმოდ თითქოს თავისი სათქმელი იმით გააყოლა, ვინც გაეცალა. თვლებში კი სითბო და ალერსი ჩაიტოვა — გარემომცველთადმი მიმართული სითბო და ალერსი.

და ეს ალერსიც გაქრა, სითბო კი გამყინვარების საუფლოში მოექცა.

მზაკვარ სენს ვერ გაუმკლავდა — მის გამოჯამრთელებას ველოდით, ის კი არყოფნისაკენ მიმავალ გზაზე იდგა თურმე.

და დაგვშორდა, წავიდა ჩვენი მზია, აქ ძვირფასი ადამიანები დატოვა, მაგრამ მივიდა დედასთან, ძმასთან და რაც მთავარია, თავის საყვარელ მიშკასთან.

როგორც ცილა გეტყოდა, მშვიდობით მზიკო!

**„მენორას“ რედაქცია**

გაზეთ „მენორას“ რედაქცია გამოთქვამს ღრმა მწუხარებას და თანაგრძობას უცხადებს გაზეთის აქტიურ ავტორს — ცნობილ პედაგოგს ლია კრიხელს შვილიშვილის — 24 წლის **ნოელ დავითის ასული კრიხელის** გარდაცვალების გამო